# სახალხო გაზეთი

№ 485 კვირა, 25 დეკემბერი, 1911 წ. № 485

განცხადების ფასი: [illegible]

[illegible]

მორსკაია 11, ვარშავაში—მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში—ბირჟის მოედანი.

Сахалхо Газети, п. ящ. 190.

ცალკე ნომერი ყველგან ერთ შაურად.

დამატებიანი ნომერი (კვირისა) 7 კ.

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გამოცემა.


ამ ნომერში ექვსი გვერდია.

„სახალხო გაზეთის" კანტორა დღეს, 25 დეკემბერს, დაკეტილია. ხვალ 26 დეკემბერს ღია იქნება 11-3 საათამდე. შემდეგი ნომერი გამოვა ოთხშაბათს 28 დეკემ.

ჟურნალ-გაზეთების სააგენტო

## „იმერეთი"

ქუთაისში

აცნობებს, რომ ის იღებს ხელის მოწერას 1912 წ. „სახალხო გაზეთ"-ზე. [illegible] ხელის მომწერნი გაზეთს მიიღებენ იმავე დილით, რა დღესაც ტფილისში გამოვა „იმერეთის" კანტორიდან.

## „სახალხო გაზეთის" კანტორა

ღიაა დილის 9 საათიდან

საღამოს 8 საათამდე

## სახალხო გაზეთი

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო

მიიღება ხელის-მოწერა 1912 წლისათვის.

ყოველ-დღიურ გამოცემის გარდა 1912 წელსაც გაზეთს ექნება

**სურათებიანი დამატება**

(კვირაობით)

**პრემიად** 1912 წლის ხელის მომწერთ მიეცემათ **გრდემლი**

ქართულ სიტყვა-კაზმულ საზოგადოების კრებულის პირველი ტომი, რომელიც „სახალხო გაზეთის" რედაქციამ სრულ საკუთრებად შეიძინა.

კრებული „გრდემლი" დაახლოვებით 500 გვერდიანი იქნება, იბეჭდება და ხელის-მომწერთ **იანვარშივე დაურიგდება.**

გაზეთის ფასი წელიწადში **8 მ. და 50 კ.** ცალკე № შაურად. დამატებიანი 7 კაპ.

| 12 თ. | 11 თ. | 10 თ. | 9 თ. | 8 თ. | 7 თ. | 6 თ. | 5 თ. | 4 თ. | 3 თ. | 2 თ. | 1 თ. |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 8.50 | 8. | 7.50 | 6.75 | 6. | 5.25 | 4.50 | 3.75 | 3. | 2.25 | 1.50 | .75 |

საზღვარ-გარედ თვეში ზედ-მეტი 25 კაპ.

ადრესის გამოსაცვლელი ფასი ტფილისისა ტფილისს გარედ, ან ტფილისის გარეთისა ისევ ტფილისის გარეთისაზე **40 კაპ.**

დანარჩენ შემთხვევებში უფასოდ.

**ექვსი შაური** უნდა გადიხადოს კიდევ იმ ხელის მომწერმა, რომელსაც სურს კრებული „გრდემლი" მიიღოს ფოსტით. ქუთაისისა, ბათომისა, სოხუმისა, ფოთისა, გორისა და თელავის ხელის მომწერნი მიიღებენ პრემიას ადგილობრივ აგენტთაგან.

**წლიურ ხელის მომწერთ გაზეთის ფასი 8 მან. 50 კაპ. შეუძლიანთ გადაიხადონ ნაწილობით**

**მხოლოდ** შემდეგ ვადებზე უნდა იყოს გადახდილი: ხელის მოწერისათანავე 3 მ.; 1 მარტამდის 2 მ.; 1 მაისამდე 2 მ. და დანარჩენი 1 მ. 50 კ. 1 ივლისამდე.

გაზეთის გამოწერა შეიძლება მხოლოდ თვის 1 რიცხვიდან, მხოლოდ სრული თვეებით და არა უმეტეს 1912 წლის გასულისა.

**ხელის მოწერა მიიღება:**

1) **„სახალხო გაზეთი"-ს კანტორაში,** (სასახლის ქ., სარაჯიშვილის სახლი, შესავალი ეზოდან).
2) **ქ. შ. წ.-კ. ს. მთავარ გამგეობის წიგნის მაღაზიაში.**
3) **ფოსტით:** Тифлисъ, газ. „Сахалхо Газети". П. Ящ. 190.

**წიგნის მაღაზიების საყურადღებოდ:**

წიგნის მაღაზიებს, რომლებიც მიიღებენ ხელის მოწერას და ფულს გამოგზავნიან **არა უგვიანეს 29 დეკემბრისა, საკომისიოდ მიეცემა 5%.**

**მართა და გიორგი ლომიძენი** და **ნინო პაატაშვილისა** მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ 22 დეკემბერს **თელავში** გარდაიცვალა პირველის ძვირფასი მეუღლე, მეორეთა ძვირფასი ძმა

## თომა აბრამის ძე ლომიძე.

პანაშვიდები ყოველ-დღე, დაკრძალვა ორშაბათს, 26 დეკ. (2.1664.2)

**ელპიტე ივანეს ასული ქარცივაძისა, შვილნი: დავით, კონსტანტინე, ივანე, გიორგი** და **ასულნი: პელაგია, თამარა ქარცივაძენი** აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ 27 ქრისტეშობისთვეს გადახდილ იქნება მეორმოცე დღის წირვა და პანაშვიდი

## ერდიშხან ივანეს ძე ქარცივაძის

სულის მოსახსენებლად. სთხოვენ ნათესავთა და ნაცნობთ მობრძანდნენ და დაესწრონ ქ. ოზურგეთში, შუადღის 12 საათზე. (1.1009.1)

**თ-დ ლუარსაბ როსტომის ძე** ბეგთაბეგიშვილის

გარდაცვალების წლის თავზე, 27 დეკემბერს, ს. ვაყაში, ღვთის მშობლის ეკლესიაში გარდახდილი იქნება წირვა და პანაშვიდი, რასაც აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ **ქვრივი კნეინა ეკატერინე იოსების ასული ბეგთაბეგიშვილისა, თ-დი ივანე გრიგოლის ძე და ნადეჟდა ალექსანდრეს ასული ბეგთაბეგიშვილები.**

(1—1008—1)

**დოქტორი მედიცინისა** ბერლინის უნივერს. **გ. გ. მეგრაბიანცი**

**წამლობა ჭლექისა** ფილტვებისა, ძვლებისა, და სხვა ორგანოთა **ტუბერკულინ**

შინაგან სნეულებით ავადმყ. მიღება ყოველ-დღე დილ. 2 11 საათამდე და საღამოს 5 7 საათამდე. კათოლიკეთა ქუჩა, № 10. ტელეფ. 792. (თ 100 1534 59).

## ახალი კლუბი

**ახალი კლუბის მამასახლისთა საბჭო**

ამით აცხადებს საყურადღებოდ, 15—22 დეკ. ამა წლ. ახლად არჩეულ კლუბის წევრთა და მუდმივ-სტუმართა, რომ უკანასკნელი ვადა საწევრო ფულის შესატანად მომავალის 1912 წლისათვის **დანიშნულია 1 იანვარი,** 1912 წ., და ამიტომ სთხოვს იმათ, თავის დროზე შეიტანონ. ვინც 1912 წლ. 1 იანვრამდე არ შეიტანს, იგინი კლუბის წევრობიდან გამორიცხებიან, კლუბში შესვლის უფლება ჩამოერთმევათ და 1912 წ. განმავლობაში ხელმეორედ შეიძლება ჩაწერვა იმ პირობით, თუ, საწევრო ფულს გარდა, 5 მან. ჯარიმას გადაიხდიან. ბილეთის მიღების დროს წევრები და სამუდამო სტუმრები მოვალენი არიან გადაიხადონ სრულებით ის ვალი, რომელიც იმათზე ითვლება, უამისოდ ბილეთი არ მიეცემათ.

ძველი წევრნი კლუბისა, რომელთაც ამა წლის 20 დეკემბრამდე არ განაახლეს ბილეთები, გამორიცხულად ითვლებიან და შეუძლიანთ დაბრუნება იმ შემთხვევაში, თუ საწევრო ფულის გადახდის გარდა, გადაიხდიან 5 მ. ჯარიმას. (3.1650.2)

პ. ა.

## დოროჟნოვის

**უმთავრესი მაღაზია**

**სოლოლაკის ქუჩა, სახლი გურგენოვისა.**

ტელეფონი № 583. ტელეფონი № 583.

**27, 28, 29, 30 და 31 დეკემბერს**

წლიურ ანგარიშის წარმოების გამო დაკეტილი იქნება.

ზემოხსენებულ დღეებში პატივცემულ მყიდველთ ვთხოვ მიჰმართონ ჩემსავე

**იაროსლავის მაღაზიას,**

მიხეილის ქუჩა, ლიუტერანთა ეკლესიის გვერდით.

ტელეფონი № 838. ტელეფონი № 838.

(1—1663—1) **პ. დოროჟნოვი.**

## 1912 წ. მიიღება ხელის მოწერა

**დასურათებულ საყმაწვილო ჟურნალ**

## „ნაკადულ"-ზე

**წელიწადი მერვე.**

ჟურნალი გამოვა ჩვეულებრივი პროგრამით და საგანგებოდ არჩეულ სარედაქციო კომისიის ხელმძღვანელობით, მონაწილეობას ღებულობენ ჩვენი ცნობილი მწერლები და პედაგოგები.

**წლიურ ხელის მომწერლებს მიეცემათ:**

**24** წიგნი „ნაკადულისა" მცირე წლოვანთათვის; **12** წიგნი „ნაკადულისა" მოზრდილთათვის.

საჩუქრად მიეცემათ წლიურ ხელის მომწერლებს

**დასურათებული 120-ზე მეტი ორიგინალური იგავ-არაკი ალ. მირიანაშვილისა.**

ფასი ჟურნალისა; წლიურად ორივე გამოცემა 5 მან., ნახევარ წლით—3 მან. ცალ-ცალკე: მცირე წლოვანთათვის 24 წიგნი—3 მან. მოზრდილთათვის 12 წ. 3 მ. ფულის შემოტანა შეიძლება ნაწილ-ნაწილადაც.

ხელის მოწერა მიიღება **ტფილისში** „ნაკადულის" რედაქციაში, გოლოვინის პროსპექტზე, ზუბალაშვილების სახ. Головинскій просп. д. № 8 და წერა-კითხვის საზოგადოების მაღაზიაში. **ქუთაისში:** ისიდორე კვიცარიძესთან, თ. მთავრიშვილთან, მარიამ ყაუხჩიშვილთან და „ნაკადულის" აგენტებთან; **სამტრედიაში**—ივანე გლადკოვთან, **ფოთში**—თეოფილე კანდელაკთან, **ბათომში**—კნ. სოფიო ნაკაშიძესთან და ტრაფიმ ინასარიძესთან, **დ. ხონში**—ეკატერინე ვასილის ასულ ბახტაძესთან, **ოზურგეთში**—ლეო იმნაძესთან, **თელავში**—ვანო პაატაშვილთან, **ახალციხეში**—კონსტანტინე გვარამაძესთან, **ბაქოში**—ვასილ აზვლედიანთან და ივანე ელიაშვილთან, **გორში** ნინო ლომაურთან და ანტონ კასრაძესთან, **სოხუმში**—კნ. მარიამ ანჩაბაძესთან.

რედაქტორი **ნინო ნაკაშიძე-**

(წ.—1627—2 წ.) გამომცემელი **თავ. პავლე იოსების ძე თუმანიშვილი.**

ყველაზე ძალიანა საღდება პაპიროსი

## „მარსი",

20 ცალი 5 კაპ.

რისთვისაც ბევრმა ქარხანამ **სიყალბეს** მიჰყო ხელი, ამიტომ გთხოვთ მიაქციოთ ყურადღება ფირმას. **ნამდვილ პაპიროს** „მარსს" უნდა ჰქონდეს წარწერა:

(100.1622.12) **„ძმ. სეილანოვები".**

## ახალი წიგნების ბიბლიოთეკა

**ტფილისში პირველი,** სასახლის ქ., სახლი ქართველ თავად-აზნაურთა. მოიპოვება სულ ახალი წიგნები მეცნიერების და ლიტერატურის ყოველ დარგიდან. აბონიმენტები თვიურად და ერთ ჯერობით. წიგნიმა ან ჟურნალის გირაო 1 მან. ბიბლიოთეკა ღიაა დღის 12—3 საათ. და საღამოს 5—8 საათ. კვირა-უქმეში დღის 12—3 საათ. (3—16„5—2)

მიიღება ხელის **მოწერა 20 დეკემბრიდან 20 თებერვლამდე.**

**დ. უზნაძის წიგნზე**

## ექსპერიმენტალური პედაგოგიკა

(შესავალი)

წიგნი მოგვითხრობს ბავშვის ფსიხოლოგიის ისტორიას და ახასიათებს ყველა მნიშვნელოვან ფსიხოლოგიურ სფერას: ყურადღებას, ინტერესს, დაღლილობის პრობლემას, მეხსიერებას და სხვ. ხელის მოწერა მიიღება ქუთაისში: „კოლხიდის" რედაქციაში და მთავრიშვილის წიგნის მაღაზიაში და კანტ. „იმერეთში". თბილისში: „სახალხო გაზეთის" რედაქციაში.

(10 1655 5) **ფასი ხელისმომწერთათვის ორი აბაზი.**

**საბურთალოზე** მშვენიერ ალაგას, ახლად აშენებულ ეკლესიისა და დიდუბის მომავალ ხიდის მახლობლად დაიჭრა 20 დესეტინა მამული და იყიდება წვრილ ნაჭრებად ოთხ-კუთხ საჟენი 80 კ.-დან. მსურველთ შეუძლიანთ მიჰმართონ ოლღას ქუჩაზე, სახლი № 6, სოლომონ ივანეს ძე თაქთაქიშვილს, დილის 9 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე, საღამოს 5 სათიდან 8 საათამდე. უმორჩილესად ვთხოვთ მიწის მყიდველებს, რომ **თავის დროზე შემოიტანონ დარჩენილი ვალი,** თანახმად ჩვენგან მიცემულ კვიტანციისა. (წ. 1147 199)

**მიიღება 1912 წ. ხელის მოწერა სახალხო საზოგადო-ეკონომიურ ჟურნალ კოოპერაცია-ზე წელიწადი მეორე.**

1912 წლის განმავლობაში ჟურნალი გამოვა შემდეგის პროგრამით: 1) მოწინავე წერილები საკოოპერაციო და ეკონომიურ საკითხებზე, 2 წერილები მუნიციპალურ საკითხებზე, 3) კორესპონდენციები და კოოპერატიულ ცხოვრების მიმოხილვა, **სურათებით;** 4) გამოჩენილ კოოპერატორებისა და საზოგადო მოღვაწეების ბიოგრაფია, სურათებით; 5) თანამედროვე საზოგადო-ეკონომიურ ცხოვრების მიმოხილვა; 6) სავაჭრო განყოფილება; 7) ნარევი და სხვ. განსაკუთრებული ყურადღება იქნება მიქცეული კოოპერაციის პრაქტიკულ საკითხებზე. **ჟურნალში** მიიღებენ მონაწილეობას საუკეთესო მწერლები და საზოგადო მოღვაწენი. ჟურნალი ღირს ქუთაისში წლიურად 2 მ. 50 კ., ნახევარ წლით 1 მ. 50 კ., თვიურად 30 კ., ხოლო ქუთაისს გარედ, გაგზავნით: წლიურად 3 მ. ნახევარ წლით 1 მან. 75 კ., თვიურად 40 კ. ჟურნალი ცალკე ნომრებად არ გაიყიდება.

**წლიური ხელის მომწერლები** მიიღებენ 1912 წ. განმავლობაში ჟურნალის 40 №№ და რამდენიმე მთლიან **ბროშურებს** დასავლეთ ევროპისა და რუსეთის კოოპერატიულ ცხოვრებაზე და პრაქტიკულ საკითხებზე. გარდა ამისა ყველა ის ხელის მომწერლები, რომლებიც მოაწერენ ხელს ჟურნალზე მიმდინარე 1911 წ. დეკემბრის 31-მდე და შემოიტანენ სრულად წლიურ გადასახადს, 1912 წ. პირველ ნახევარში მიიღებენ საჩუქრად მოსკოვის მომხმარებელ საზოგადოებათა კავშირის დამაარსებელის, **ნ. პ. გიბნერის** საუცხოვო წიგნს ქართულად: **„კოოპერაციის სისტემები"** რომელიც ცალკე ღირება 1 მ. 20 კ.

**ვთხოვთ** ყველა იმათ, ვინც თანაუგრძნობს ჟურნალის გამოცემას და სურს კოოპერაციის განვითარება ჩვენში, გამართონ ჟურნალზე ხელის მოწერა და მისთვის განცხადების მიღება, რაისთვის მათ გაეგზავნება საკვიტანციო წიგნები პირველ მოთხოვნილებისათანავე.

**განცხადების ფასი:** 1 გვერდზე სტრიქონი პეტიტით 30 კ., უკანასკნელებზე 20 კ. ყოველივე წერილები და ფული უნდა გამოიგზავნოს ასეთ ადრესით; **Кутаисъ, редакція журнала „Кооперація".**

1911 წლის განმავლობაში გამოსულ ნომრებში მოთავსებულია, სხვათა შორის, შემდეგი წერილები: „დარიგება მომხმარებელ საზოგადოების დამაარსებელთათვის," „გამგეობის პირველი ნაბიჯები"; „სასოფლო სამეურნეო სინდიკატები საფრანგეთში"; „სახელოსნო კოოპერატივი", „მომხმარებელ საზოგადოების წესდება"; გამოჩენილ კოოპერატორების ბიოგრაფია; ლევ. ტოლსტოისა, პროფ. მიგულინისა, პროფ. კაბლუკოვისა, პროფ. კაუფმანისა და სხვა გამოჩენილ საზოგადო მოღვაწეთა და პროფესორ-ეკონომისტების აზრი კოოპერაციის მნიშვნელობაზე; წერილები ნოე ჟორდანიასი, ვ. თ. ტოტომიანისა და სხვების და აგრეთვე სურათები კოოპერატიულ ცხოვრებიდან.

**1911 წლის კომპლექტი ღირს 1 მ. 50 კ.**

1912 წლის ხელის მომწერლებს, რომლებიც გამოგზავნიან ფულს 31 დეკემბრამდე, 1911 წ. ნომრები დაეთმობათ მხოლოდ 75 კ. რედაქტორ-გამომცემელი **იასონ გაბილაია.**

(6.1654.4)

## ტფილისის კერძო სამკურნალო

გაფართოვებულია და სტაციონალური განყოფილება მოწყობილია 50 საწოლით.

**განსაკუთრებითი სამშობიარო განყოფილება.**

ქსენიევის ქუჩა, საკუთარი სახლები № 7, „ვეტცელის" სასტუმროსთან.

**ტელეფონი № 509.**

სტაციონალურ ავადმყოფთა მიღება ყოველთვის შეიძლება დღე და ღამე. საამბულატორო ავადმყოფებს მიიღებენ სპეციალისტი ექიმები:

**გედევანიშვილი მ. ა.** ნერვ. და ელექ., ორშ., და პარ. 10½ ს. 11 ს.

**დავითიანი რ. ს.** შინაგ. და ნერვებ. ყოველ დღე 1 2 ს.

**მაღალაშვილი გ. გ.** შინ., სამშ. და შაბ. 10 12 ს.

**ქიქოძე ტ. ს.** შინაგანი. ორშაბათობით და ოთხშაბ. 9 10 ს.

**მანსვეტოვი ვ. მ.** შინ., ორშ., ოთხშ., და პარასკ. 2 3 ს.

**მუსხელიშვილი ვ. ს.** თვალისა, ორშაბ., ოთხშაბ. და პარასკ. 2 2½ საათ., **დროებით წასულია.**

**მზარეულოვი მ. ი.** კანისა და ვენერ. ყოველ დღე, კვირის გარდა, 1 1½ ს.

**მელიქიშვილი ნ. მ.** ქირურ. და დედაკაც. ყოველ დღე 10 12 ს.

**მიქელაძე შ. ა.** შინაგან და ბავშვ. ყოველ-დღე 12½ 1 ს.

**ორემბოვსკი ნ. ს.** ყურისა, ყელისა და ცხვირისა. ორშაბ., სამშაბ., ხუთშაბ. და პარასკ. 12 1 ს.

**ფირალოვი რ. ბ.** ქირურ. ცისტოსკოპია და საშარდე მილების კატეტერ. ყოველ-დღე 12 1 ს.

**სობოლევსკი გ. ვ.** ქირურ., ყოველ-დღე, 9 11 ს.

**სულაგოვი ა. ი.** სამშობიარო და ქალის 12 1 ს. **დროებით წასულია.**

**წამლობა „606"-ით.**

სამკურნალოს აქვს მოწყობილი (Ehrlih-hata). აქვს აგრეთვე საკუთარი სამიკროქიმიო და საბაქტერიოლოგიო ლაბორატორია, რომელსაც განაგებს ექიმი ე. გ. ფედოროვი **დროებით წასულია.**

რჩევა ღირს 50 კაპ., საწოლები 2 მანეთიდან დაწყებული. ოპერაც. კონსულტაც., ელექტრონით წამ., მასსაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება და სხვა შელავათ. საფასურით. (წ. 1089. 510)

**ტფილისის ქართულ მომღერალ-მგალობელთა**

## გუნდი

**(დაარსებული 1910)**

ახლად შეკერილ საკუთარ ეროვნულ ტანისამოსში (ქულაჯებში) გამოწყობილი.

იღებს მონაწილეობას: ქართულ კონცერტებში, სამუსიკო დილა-საღამოებზე, სასიმღერო პიესებში, წირვის წესის და სხვა საგალობლებში.

გუნდის მიწვევა-დაკვეთა და ახალ მომღერალთა მიღება იკითხეთ **მიხეილ კავსაძესთან.** ავჭალის მოედანი, № 11. (4—1665—1)

## თაფლი

**გირვანქა აბაზად**

**საკუთარ საფუტკრისა ბარონ-ფონ კუჩენბახის**

მაღაზიაში იყიდება.

გოლოვინის პროსპ. № 6, სახლი მანთაშევისა. (2—1005—2)

**ექიმი ვ. მუსხელიშვილი**

მიიღებს თვალის ავადმყოფთ ყოველ დღე დილ. 9—11 ს. დიდი მთავრის ქ., № 67, სახლი სვანიშვილისა.

**ექიმი ა. ნ. დიასამიძე**

კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილით 2-3 ს. საღამ. 6 7 ს. ხუთშაბათობით მხოლოდ დილით 8 9 ს. კვირაობით ავადმყოფებს არ იღებს. მოსკოვის ქ. № 3, ს. გაბაშვილისა. (უ)

ქართული თეატრი — სადღესასწაულო რეპერტუარი — ქართული თეატრი

ორშაბათს, 26 დეკემბერს

დილით (დასაწყისი 12 1/2 საათზე)

პატარა კახი — ისტორ. დრამა 5 მოქ. აკაკისა. ფასები ერთი-ორად დაკლებულია (10 კ. 1 მ. 50 კ.)

საღამოთი (დასაწყისი საღამოს 8 საათზე)

ოპერა ქართულ ენაზე ვანო სარაჯიშვილის მონაწილეობით და ნ. ქართველიშვილის ლოტბარობით

სევილიელი დალაქი — პიესა როსინისა, 3 მოქ. ვ. გუნიას თარგმანი.

ანონსი: ხუთშაბათს, 29 დეკემბერს, ვალერიან გუნიას საბენეფისოდ—„იულიოს კეისარი"— შექსპირისა. ანონსი (1—1010—1)

# ქართული თეატრი

სადღესასწაულო რეპერტუარი ახალ კლუბისა და ქართულ თეატრისა.

**ახალი კლუბი:**

ორშაბათს, 26 დეკემბერს, 1911 წ. საღამოზე, წარმოდგენის შემდეგ **იაფი ლოტო.**

სამშაბათს, 27 დეკემბერს, **საბავშვო წარმოდგენა და „იოლკა".** დასაწყისი საღ. 6 საათზე.

ოთხშაბათს, 28 დეკემბერს **სინემატოგრაფი და იაფი ლოტო.** დასაწყ. საღ. 8 ნახ. საათ.

პარასკევს, 30 დეკემბერს, **სინემატოგრაფი და იაფი ლოტო.** დასაწყ. საღ. 8 ნახ. საათ.

შაბათს, 31 დეკემბერს, **„ვნებათა ტალღებში".** მუსიკ. მოზაიკა 3 მოქ. ვალენტინოვისა. დასაწყ. საღამ. 8 ნახ. საათ. **ახალი წლის დახვედრა** (საზოგადო ვახშამი).

**ქართული თეატრი:**

ორშაბათს, 26 დეკემბერს, 1911 წ. დილით **„პატარა კახი"**, დრამა 5 მოქ. აკაკისა? დასაწ. დილ. 12 ნახ. ს. საღამოთი **ი. პ. სარაჯიშვილის** მონაწილეობით **„სევილიელი დალაქი"**, ოპერა 3 მოქ. როსინისა, თარგ. ვ. გუნიასი. დასაწყ. საღამ. 8 ს.

ხუთშაბათს, 29 დეკემბერს, **ბენეფისი ვ. ლ. გუნიასი. „იულიოს კეისარი"**, ტრაგ. 5 მოქ. შექსპირისა, ი. მაჩაბლისა, დასაწყ. საღ. 8 საათ.

კვირას, 1 იანვარს, 1912 წ. **„ლალატი"**, დრამა 5 მოქ. თ. სუმბათაშვილისა, თარგმ. გრ. ყიფშიძისა. დასაწყ. საღ. 8 ს.

ორშაბათს, 2 იანვარს, **საიუბილეო წარმოდგენა.** დასაწყ. საღამოს 8 საათ. (3—1650—1)

**გამოვიდა და იყიდება ყველგან ქ. თავართქილაძის შედგენილი**

1\. კედლის **კალენდარი** ფასი 40 კ.

2\. საყოველთაო **კალენდარი** ფასი 20 კაპ.

ორივე კალენდარი მდიდარია შინაარსით და საინტერესოდ არის შედგენილი კავკასიის ყველა ეროვნებისათვის. ადრესი: ტფილისი ქ. თავართქილაძე. (1—1011—1)

**ვაგზლის კერძო სამკურნალო**

გარედან ყოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.

ვაგზლის ქუჩა. № 8. ტელეფონი № 695.

**ე. ს. ვაშაკიძე.** ყოველ დღე, შინაგან ავადმყ. 9 1/2 ს. 10 ს,

**ა. ნ. დიასამიძე** ყოვ. დღე, კვირ. გარდა. სიფილ, კანისა და ვენერ. 11 12 ს.

**ბა. პოპოვი** ყოვ. დღე, კვირ. გარდა ყელ, ყურ. და ცხვ. სნეულ. 11 11 1/2.

**შ. ა. მიქელაძე** შინაგან და ბავშვთა ავადმყ. 1 2 ს.

**ნ. მ. მელიქიშვილი.** ქირურგიული და ქალთა ავადმყ. 1 2 ს.

მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი; აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა. ფასი რჩევისათვის 50 კაპ.

ოპერაციები და კონსილიუმი მორიგებით

**წამლობა „606"-ით.** (წლ. 1090 238)

**დოქტორი მედიცინისა**

**ე. ი. თიკანაძე**

სამკურნალო აკადემიის სამშობიარო და საღოსტაქრო კლინიკების ორდინატორად ნამყოფი, იღებს ფეხმძიმეთ, დედათაბუნების, სადოსტაქრო და საშარდე ორგანოთა (ვენერიულის გარდა) სნეულებით ავადმყოფ მანდილოსნებს. ყოველ დღე საღამ. 5—7-მდის, კიროჩნის ქ. სახ. № 18, თავ. ვაჩინაძისა. ოფიცერთა ეკონომიურ საზოგადოების მაღაზიის პირდაპირ.

საშარდე ორგანოთა სნეულებით ავადმყოფნი მხოლოდ ხუთშაბათობით და კვირაობით მიიღებიან. (თ. 1591 71)

**ელექტრონისა და რენტგენის სამკურნალო მიხ. გედევანიშვილისა**

ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილ. 12 1 ს., საღ. 6 7 ს., გაშინჯვა და გადაღება რენტგენის სხივებით. ვერა, ყოლანოვის ქ., № 20. (წ. 1249 77).

**ექიმი** კბილისა და ღრძილებისა **ქაჯაია**

იღებს ავადმყოფებს დილით 9-12 ს. საღამოთი 3-6 საათამდე. ელისაბედის ქუჩა, № 151 (დიდუბე). (თ, 1660.3)

**ექიმი პ. არდაზიანი**

შინაგან და ბავშვებ. ავადმყოფ. (სპეციალ. ფილტვების სნეულება, სისხლის ნაკლულება, რევმატიზმი—ქარები). ტფილისი, ალექსანდროვის ქუჩა, № 3. დილის 9—12 ს. საღამოს 5—7. (25.899.34).

**ექიმი მ. ს. კობერიძე**

**ქ. ბორჯში**

იღებს ავადმყოფებს ყოველდღე დილით 9 12 ს.—მდე. საღ. 5—7 სემინარიის ქუჩაზე სახლი № 1 ზანგურიძისა. (25 968 12)

**ექიმი ზ. მ. ლოლობერიძე**

იღებს ავადმყოფებს საღამოობით 4—6 საათ. წამლობა ფოსფაცინით. კირპიჩნის შესახვევი, სახლი სვიმონოვისა, № 16, ტელ. 693. (თ—1657—4)

**ექიმი ნ. ტ. მულინი**

ყელისა, ცხვირისა და ყურის ავადმყოფების მიღება დილის 12—1 საათამდე საღამოს 6—8 საათამდე, სერგეევის ქ. 8. (თ. 1545 52).

**ექიმი მ. ი. მინასიანცი**

შინაგან, ბავშვთა, კუჭისა და ნაწლევ. სნეულებათა, პარიზელ პროფეს. Mathieu-ის სპეციალურ კლინიკიდან. ღებულობს დილის 9 11 ს.—დე და საღამოს 6 7 საათამდე.

ელისაბედის ქ., № 39, ტელეფონი № 1067. (100 1117 66).

# უმაღლესად ებოძათ

**დეისტვიტელნი სტატსკი სოვეტნიკობა:** ტფ. გუბერნიის ექიმს ტიტე ქიქოძესა.

**წმ. ანას მესამე ხარისხის ორდენი:** დიმიტრი **ხოშტარიას.**

**წმ. სტანისლავი მეორე ხარისხისა:** ტფ. საგუბერნიო ექიმის თანაშემწის თანამდებობის აღმასრულებელს გიორგი **ბროძელსა** და ტფ. მაზრის თავად-აზნაურთა წინამძღოლს თავ. პ. ი. **თუმანიშვილსა.**

**წმ. სტანისლავი მესამე ხარისხისა:** ბაღდადის ბოქაულს ალფეზ **მგელაძესა,** ტფ. საგუბერნიო სამმართველოს საქმის მწარმოებლის თანაშემწეს ივანე **სარაჯიშვილსა,** ნამესტნიკის კანცელარიის საპოლიციო ნაწილის საგანგებო განყოფილების მოხელეს თავ. **იასონ ჯაფარიძესა,** ბაქოს ბოქაულს თავ. ილია **ნიჟარაძესა** განჯის სამხედრო საკრებულოს მდივანს კონსტანტინე შავლაძესა **და** ბათომის საპოლიციო სამმართველოს საქმის მწარმოებელს ილია **ბურჯანაძესა.**

# ტფილისი, 25 დეკემბერი

**შობა ქრისტესი.** წლითი-წლობით განსაკუთრებულის ყურადღებით ეგებება საქრისტიანო ქვეყანა შობას. ახალი სიტყვა იესო ქრისტესი, გაუგონარი და მიუწდომელი თანამედროვეთათვის, ადვილ გასაგები გახდა შთამომავლობისათვის. იესო ქრისტე—ემბლემა არა მარტო სიყვარულისა, არამედ დაუსრულებელ განვითარებისა, დაუსრულებელ განახლებისა. იესო ქრისტემ თავისი მოძღვრებით ახალი საფუძველი ჩაუყარა მორალს, ახალს ნიადაგზე უნდა დამყარებულიყო ადამიანთა ურთიერთობა. იგი იყო უდიდესი რეფორმატორი აზროვნებისა, რანაირიც კი კაცობრიობას გაუჩენია.

მომზადოვებელი იყო კლასიკური კულტურა ძველი საბერძნეთისა, პოეზიით სავსე იყო ეს კულტურა, თვითეული ავტორი საბერძნეთის ქანდაკებისა ჰფეთქავდა სილამაზით, სიცოცხლით. ღრმა და მომაჯადოვებელი იყო აზროვნება ბერძნების ფილოსოფოსთა. პლატონი, არისტოტელი ჯერ ისევ ჯადოსნურ ამოცანად აღმართულან თანამედროვე კაცობრიობის წინაშე. პოეზიით აღსავსე იყო პლატონის თვით ფილოსოფიაც კი.

რომის კულტურა გვაკვირვებს თავის გულ-ზვიადობით. იგი პოეტურ სინაზით არ არის გაშუქებული, მაგრამ იგი მაინც ძლიერია თავისი პრაქტიკული მნიშვნელობით, ძლიერია თავის სახელმწიფოებრივ წესწყობილების შემუშავებით, ძლიერია პრაქტიკულ საქმიანობით. ეს ორი კულტურა—საბერძნეთისა და რომისა—ისე ღრმად აღიბეჭდა კაცობრიობის მეხსიერებაში, რომ დღესაც იგი გულ-მოდგინედა და აღტაცებით შესცქერის მას.

მაგრამ არა არის რა მუდმივი ამ ქვეყანაზე. მუდმივია მხოლოდ დრო, რომელიც თავის ბეჭედს ასვამს ყოველნაირ კულტურას. საბერძნეთმა გადასცა რომს თავისი კულტურა და თვითონ, როგორც პოლიტიკური ერთეული, გააქრო რომმა, გადაამუშავა ეს კულტურა. იმ დროს, როდესაც რომის კულტურა განვითარების უმაღლეს საფეხურამდე ავიდა, დაიწყო გახრწნა მისი სახელმწიფოებრივ წესწყობილებისა. იხრწნებოდა რომი, რომელთანაც ერთად ბოლო ეღებოდა კლასიკურ კულტურას.

ადრე თუ გვიან ამ კულტურას მემკვიდრე უნდა გასჩენოდა, მაგრამ იქ, სადაც არავინ მოელოდა: ბეთლემში.

ბნელსა და მიყრუებულ ქოხში დაიბადა ყრმა, რომელსაც წილად ჰხვდა ძველი ქვეყნის მემკვიდრეობა. ებრაულ ნიადაგზე აღმოცენებული მოძღვრება უნივერსალური გახდა და მალე მთელს კაცობრიობას მოედო.

ვინც რანაირ აზრისაც უნდა იყოს ქრისტიანობაზე, ის მაინც ეჭვს გარეშე იქნება ყველასთვის, რომ ქრისტიანობამ, როგორც ზნეობრივფილოსოფიურმა დოქტრინამ ძირიანფესვიანად შესცვალა სურათი ხალხთა განწყობილებისა და ისტორიასაც სულ სხვა მიმართულება მისცა. თითქმის ორი ათასი წელიწადია რაც პირველად გაისმა სიტყვა ახალის მოძღვრებისა; მას შემდეგ ბევრი რამ გამოიცვალა, თვით ქრისტიანობამაც ფერი იცვალა სარწმუნოება პროტესტის, სარწმუნოება მოწოდებისა ოფიციალურად სავალდებულო სარწმუნოებად გადაიქცა. ქრისტიანობასაც თავისი პირვანდელი ხასიათი შეეცვალა, მაგრამ იესო ქრისტე, როგორც ახალი სიტყვის მქადაგებელი, იესო ქრისტე, როგორც რეფორმატორი მასალისა, მაინც მთელი თავისი სიძლიერითაა აღმართული ჩვენს წინაშე. ქრისტიანობას, როგორც ფილოსოფიურ დოქტრინას, გვერდს ვერ აუქცევს ვერც ერთი მემატიანე ფილოსოფიისა, იგი შემაერთებელი იყო ძველისა და ახალისა. მთელი ფილოსოფია საშუალო საუკუნოებისა ქრისტიანობა საზრდოობდა, დიდს გავლენას განიცდის ქრისტიანობისას განახლების ხანა, ძლიერია მის-გავლენა დღესაც.

იესო ქრისტეს ქადაგება იყო პროტესტი უსამართლობის წინააღმდეგ, იგი იყო მოწოდება უკეთეს ცხოვრებისადმი, რომელიც თვით უნდა დაემკვიდრებინა ადამიანს თავის სულიერ არსებობის გარდაქმნით. იგი იყო მოწოდება ადამიანის განკაცებისკენ, განახლებისკენ. ადამიანს თავის სულიერ არსებაში უნდა ეპოვა ძალა, წყარო განახლებისა და სულიერად განთავისუფლების შემდეგ დაემკვიდრებინა სამართლიანობა კაცთა შორის. დღეს, თითქმის ორი-ათას წლის შემდეგ, ქრისტიანობა ოფიციალურ სარწმუნოებათაა აღიარებული, მაგრამ ბოროტება, რომლის წინააღმდეგაც იბრძოდა ქრისტე, ისევ ძლიერია.

დღეს ქრისტიანობის ოფიციალურ სამოსელში გახვეული კაცობრიობა დღესასწაულობს ქრისტეს შობას, მაგრამ ნამდვილი დღესასწაული მაშინ იქნება, როდესაც თვითეულ ადამიანში გაიღვიძებს სურვილი განკაცებისა, განახლებისა, როდესაც შობა იქნება არა მხოლოდ დღესასწაული, არამედ ემბლემა დაუსრულებელ განახლებისა, დაუსრულებელ წინ-მსვლელობისა.

# ახალი ამბავი

## ტფილისი.

✦ **სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატმა თ. ი. როდინევმა** გუშინ დაათვალიერა სიონის საკათედრო ტაძარი, რომლის წინამძღვარმაც დეკანოზმა მ. ტყემალაძემ ეკლესიის მთელი განძეულობა აჩვენა და გადასცა თავისი წიგნი „სიონის ტაძრის აღწერა". სიონიდან დეპუტატი საეკლესიო მუზეუმში გაემგზავრა, სადაც მუზეუმის გამგე მ. ჯანაშვილი დაუხვდა და შესაფერი ახსნა-განმარტება მისცა, ბ-ნი როდინევი აღტაცებული დარჩა ნახულით და მადლობა გადაუხადა, როგორც დეკ. ტყემალაძეს, ისე მ. ჯანაშვილსა. აქედან დეპუტატი ქართულ გიმნაზიასთან არსებულ საეთნოგრაფიო მუზეუმის დასათვალიერებლად გაემგზავრა. იქ დახვდა მუზეუმის მთელი გამგეობა. ახსნა-განმარტებას ბ-ნნი ა. სარაჯიშვილი და ე. თაყაიშვილი აძლევდნენ. ბ-ნმა როდინევმა აქ დიდხანს დაჰყო, დიდად ნასიამოვნები დარჩა და დამხვედრთ მხურვალე მადლობა გადაუხადა.

✦ **ხვალ, 26 დეკემბერს, 25 წელიწადი შესრულდება, რაც ტფილისში პირველად გამართულ იქმნა ქართულ სიმღერების კონცერტი ბ-ნ რატილისა და განსვენებულ ლადო აღნიაშვილის თაოსნობითა.** მომღერალმა ი. კარგარეთელმა ამის გამო ახალ კლუბის მამასახლისთა საბჭოში წერილობით განცხადება შეიტანა, ამ დღის აღსანიშნავად კლუბში ქართული კონცერტი გამართეთ იმავ პროგრამით, რომლითაც ამ 25 წლის წინად გაიმართაო. მამასახლისთა საბჭოს ამ განცხადების გამო ჯერ-ჯერობით არა დაუდგენია რა.

✦ **პროფ. პრახოვი, თავ. პ. ი. თუმანიშვილი და ი. ქუთათელაძე,** რომელნიც ქუთაისის გუბერნიაში იყვნენ წასულნი ადგილობრივ შინა მრეწველობის შესასწავლად, ტფილისში დაბრუნდნენ.

✦ **უბედური შემთხვევა.** 23 დეკემბერს, რიყის ქუჩაზე ტრამვაის ვაგონმა № 3 15 წლის ყმაწვილს ზაქარია აგაბეკოვს გადაუარა და მსუბუქად დაავავა.

✦ **თავი მოიწამლა** კიროჩნი ქუჩაზე მცხოვრებმა კირილე კოსარიემა. მოწამლული მიხეილის საავადმყოფოში გაჰგზავნეს.

**შობის ხე.** 27 დეკემბერს, საღამოს 7 საათზე, სულით ავათმყოფთა სოლოლაკის (კოჯრის ქუჩა, 15) თავშესაფარში შობის ხე გაიმართება ავადმყოფთათვის. ამავ დღეს გაიყიდება ავადმყოთა ხელსაქმე.

✦ **უქმეების გამო** გუშინ მუშაობა 12 საათზე შესწყდა ყველა საზოგადო და სახელმწიფო დაწესებულებაში. უქმეებისავე გამო ჩვენი გაზეთის შემდეგი ნომერი მხოლოდ მომავალ ოთხშაბათს გამოვა.

✦ **გაზეთ „დროების" რედაქტორი ი. აგლაძე.** ამას წინად, როგორც ვწერდით, მეტეხის ციხიდან გაანთავისუფლეს „დროების" რედაქტორი ი. აგლაძე, რომელმაც ციხეში წელიწად ნახევარი დაჰყო. ციხის შემდეგი გადაწყვეტილი ჰქონდა ადმინისტრატიულის წესით კავკასიიდან გადასახლება, მაგრამ კავკასიის ნამესტნიკმა ნება დართო ბაქოში ცხოვრებისა. ბ-ნი აგლაძე ბაქოში უკვე წავიდა.

✦ **ცნობილი წიგნების გამომცემელი ზაქარია ჭიჭინაძე,** რომელიც ამას წინად დამცველ განყოფილების განკარგულებით დააპატიმრეს, უკვე გაანთავისუფლეს ლევან ფურცელაძის თავდებობით (570 მ.).

✦ **ტფილის-განჯა-ბაქოს ტელეფონმა** 23 დეკემბრიდან მუშაობა დაიწყო.

✦ **ახალი რკინის გზა.** შესდგა ამხანაგობა, რომელსაც გადაწყვეტილი აქვს, რკინის გზა გაიყვანოს კახეთის რკინის გზის სადგურ ცნობის-წყალიდან ბაქომდე. გზა, რომელსაც 423 ვერსტი სიგრძე ექნება, ზაქათალასა, კახსა, ნუხასა და შემახაზე გაივლის. ვარაუდით გზის გაყვანა 22 მილიონად დაჯდება.

✦ **გაზ. „თემი"** უქმეების გამო ხვალის მაგივრად დღეს, 25 დეკემბერს, გამოდის.

✦ **ტფ. ფოსტა-ტელეგრაფის ცენტრალური კანტორა** 20 დეკემბრიდან საახალწლო მისალოც დეპეშებს იღებს. დეპეშებს უნდა ეწეროთ „საახალწლო". დეპეშები დანიშნულებისამებრ ახალწელიწადს დილის 8 საათზე ჩაჰბარდებათ.

✦ **კავკასიის ნამესტნიკს 23 დეკემბერს წარუდგა** ტფ. მაზრის თავად-აზნაურთა წინამძღოლი თავ. პ. ი. თუმანიშვილი.

✦ **ტფ. საქალაქო არჩევნები** ქალაქის საქმეთა საგუბერნიო საკრებულომ კანონიერად იცნო და დაამტკიცა. როგორც ვიცით, არჩეულია 75 ხმოსანი და 22 კანდიდატი, რომელთაც 27 დეკემბერს დაამტკიცებენ.

✦ **ქალაქის 1912 წლის ხარჯთაღრიცხვა,** რომელიც 3,579,187 მან. უდრის, დასამტკიცებლად გუბერნატორს წარუდგინა.

✦ **წიგნები მეტეხის ციხის ბიბლიოთეკისთვის.** რედაქციამ მეტეხის ციხის ბიბლიოთეკისთვის მიიღო: ქ-ნ ეკატერინე გაბაშვილისაგან—თავისი თხზულებანი, ერთი წიგნი, ბ-ნთ ალექსანდრე ყიფშიძისაგან—ოთხი წიგნი: „ამბოხება კახეთისა" ორი ცალი და Культурная роль Иверіи въ исторіи Россіи" ეპ. კირიონისა, ორი ცალი; აპოლონ წულაძისაგან—თავისი თხზულება „ფუტკარი და მეფუტკრეობა" ერთი ცალი; „სორაპანის ამხანაგობისაგან"—ხუთი წიგნი: „დრამები და კომედიები" მოთხრობანი გიუ-დე-მოპასანისა, „ცრემლები" ვაჟა-ფშაველასი, მოლიერის თხზულებანი, განდეგილის ლექსები და მოთხრობები; მიხეილ-ნემსაძისაგან—„შვების თავადი" შანშიაშვილისა. ამას გარდა ჩვენი რედაქციისაგან მეტეხის ციხის ბიბლიოთეკას გაეგზავნება: ლადო მეგრელის თხზულებანი, პირველი და მეორე წიგნი, გიუ-დე-მოპასანის მოთხრობანი, შიუკაშვილის დრამა „მეგობრობა".

✦ **გადასახლებული.** 23 დეკემბერს ტფილისში შეიპყრეს მიხეილ გულუაშვილი, რომელიც ადმინისტრატიულის წესით იყო გაგზავნილი და თავის ნებით დაბრუნდა.

✦ 23 დეკემბერს 28 უპასპორტო შეიპყრეს.

## მაჰმადიანთა ცხოვრებიდან.

✦ ჩვენმა რედაქციამ ქ. სტამბოლიდან მიიღო ერთი მოწოდება სომხურს ენაზე, რითაც გვაცნობებს, რომ 1912 წ. 1 აპრილს სტამბოლის კარიელეს თეატრში გადახდილი იქნება ოსმალეთის სომეხთა შორის ცნობილ მსახიობის **მ. მნაკიანის 50 წლის სასცენო მოღვაწეობის იუბილე.** საიუბილეო კომიტეტის ადრესი: Nerses Ohanian. Union de Paris Constantinople.

## ქუთაისი.

✦ **შავი ქვის მრეწველთა კრება** დასრულდა. საბჭოს წევრებად აირჩიეს: დიდი ხმის უმეტესობით ისევ კიტა აბაშიძე, მეორე წევრად—სოლ. ექ. წერეთელი, თავ. ივ. ნიჟარაძის ნაცვლათ; გაშავებით არც ნიჟარაძე გაუშავებიათ, მხოლოდ მოპირდაპირე—წერეთელმა ხუთი კენჭით გაუსწრო. საბჭოს თავმჯდომარის გ. ფ. ზდანოვიჩის წინადადებით. ნიჟარაძეს ხანგრძლივ სამსახურისათვის კრებამ ათასი მანეთი ჯილდოდ მისცა. სარევიზიო კომისიის წევრებად: ვ. დრინანი, ბ. მოსეშვილი და ი. ბელიაშვილი. საბჭოს წევრის კანდიდატად დაასახელეს: ე. ვ. წერეთელი და ს. ნ. წერეთელი. ორივეს თანასწორი ხმა ამოუვიდა. პირველმა მეორეს დაუთმო ადგილი. სარევიზიო კომისიის წევრთა კანდიდატათ აირჩიეს ვ. ქადაგიძე. ვაგონების გამწესრიგებელ კომისიაში:—ნიკ. ქუთათელაძე. ო. ზივერტი, ნესტორ წერეთელი, ალ. გამრეკელი; მათ კანდიდატებად—ჯაყელი და კ. მასხარაშვილი.

✦ **მომავალი რეპერტუარი** ჩვენის დასისა, 26 დეკემბერს—„**ყაჩაღები**" შილლერისა; 27—„**უდანაშაულოდ დასჯილნი**"; 2 იანვარს—სადღესასწაულო წარმოდგენა კომედია და შარჟი.

6-ს იანვარს—„ლალატი" 7-ს—„მსხვერპლი"—გედევანიშვილისა. 8-ს—„**კინი**" ზარდალიშვილის საბენეფისოდ.

✦ ქალაქის ბაღში წ. კ. ს, კიოსკში, სადაც მინერალური წყალი იყიდებოდა, **თაფლის ბაზარი** გაიმართა; თაფლი დამზადებულია ქუთ. სამეურნეო სკოლაში, მეტად კარგი თვისების თავანკარა და იაფათაც იყიდება.

## განჯა.

✦ როგორც დეპეშათა სააგენტო იუწყება, განჯაში **მოუკლავთ** ცნობილ ყაჩაღ მაჰმადას ამხანაგი.

# კიდევ ყაჩაღობა

**ს. მარტყოფი** (გარედ გახეთი). დღე ერთი და უსიამოვნება ათასი. ესეთია დრო და ჟამი ჩვენი უფერული ცხოვრებისა. ხალხი მეტ წილად მტრულად უცქერის ერთმანეთს; არ არის მათში ერთმანეთისადმი ლტოლვილება სიყვარულისა და მეგობრობისა, რის გამოც იშვიათია, რომ უბედურებას ნიადაგი არა ჰქონდეს.

12 და ნამეტნავად 13 ქრისტეშობისთვე სოფელ მარტყოფისათვის გულ-ასამღრევია. პირველ დღეს, ახლად შებინდებულზე, როდესაც ჯერ „ლამფები" ახლად ინთებოდა, აქაურ მთავარ-ანგელოზის ეკლესიის მოძღვარს იოანნე თუშმალიშვილს თავს დაეცა რამდენიმე შეიარაღებული უცნობი და ფული მოსთხოვა. ამ დროს მღვდელი „სამოვარს" სდგამდა და ეზოში რომ უცნობნი შეამჩნია, ელდა ეცა, მაგრამ რაღას იზამდა. უცნობნი მიუახლოვდნენ და სახლში წაიმძღვარეს. სახლში მყოფნი და-ძმა მღვდლისა გაოცებული დარჩნენ და შიშით აღარ იყვნენ. ხალხი მაშინვე ანუგეშეს და მარტო ფული მოსთხოვეს. მღვდელმა ფული არ გამოუჩინა და სხვა ფრივ-კი სცდილობდა მათ სიამოვნებას. კაი ხნის ჩხრეკის შემდეგ თუმანი იპოვნეს. სულ ეს თუმანიღა იქნებოდა. ოქრო-ვერცხლეული არა იპოვეს რა... წასვლისას გააფრთხილეს, არსად არაფერი სთქვათო... ეს ფული იცოტავეს და ესტუმრნენ მღვდლის მეზობელ ძმისწულსაც, სოფლის მწერალს. აქ, რადგან ცოტა უგვიანდებოდათ. დიდხანს არ გაჩერებულან და ხუთი მანეთის გამორთმევით, გამოსთხოვებიან გულუხვ მასპინძლების კარ-მიდამოს.

ამ ღამემ მეორე დღემდე მშვიდად ჩაიარა და ყველა დარწმუნებული იყო, რომ ამით უიარაღოზე გამარჯვებული უცნობნი დაკმაყოფილდებოდნენ და არავითარი საფრთხე აღარ მოელის სოფელს, მით უმეტეს, რომ ყველას სტრაჟნიკების იმედი ჰქონდათ, რომელნიც ჰგუშაგობდნენ კანცელარიის მახლობელ დუქანში.

მეორე საღამოს, იმ დროსვე დიდი უბედურება შესძინა სოფელს. სწორედ შუა სოფელში, სადაც კანცელარიაც ახლოა და სტრაჟნიკებიც მუდამ ირევიან, ებრაელების ფარჩეულობის დუქანს რამდენიმე შეიარაღებული (როგორც ჩვენებიდან აღმოჩნდა ისევ ისენი) უცნობნი მიადგნენ და დაუწყეს კარებებს რახუნი. შიგ მყოფნი გამოეხმაურნენ და ჰკითხეს ვინაობა. უცნობებმა შესვლის მიზეზად ბაღდადი დაასახელეს. ებრაელებმა არ იუცხოვეს ახლად შებინდებულზე ესეთი თხოვნა და კარები გაუღეს. გაღება და სამი შეიარაღებული ყაჩაღის შეჭრა შიგ ისე სწრაფად მოხდა, რომ ელდა ნაკრავ ხამმა ებრაელებმა ვეღარა მოახერხეს რა და დანებდნენ თავიანთ ბედისწერას. გამძარცველებისათვის ებრაელებს, ბუნებით მშვიდთ, არავითარი წინააღმდეგობა არ გაუწევიათ და მოხარულიც იქნებოდნენ, რომ ფული და ძვირფასი ნივთები გამხდარიყო მათი სიცოცხლის მსხვერპლი, მაგრამ ბედმა უმუხთლა ამ უბედურთ და ორი ამათაგანი: ალო მენაშევი და ლუკა ჰანუქოვი, ორთავენი ოსმალეთის ქვეშევრდომნი, გახდნენ შეუბრალებელნი მსხვერპლნი სამი ტყვიისა, რომელთაც ერთი მაშინვე და მეორეც გათენებისას გამოასალმეს სამუდამოთ წუთი სოფელს.—მესამე დაიჭრა მარცხენა ხელში და პატარა ბიჭი-კი, რომელიც იქვე იყო, რაღაცა სასწაულით გადარჩა. ამ ორის ჩვენებით იყო შედგენილი შესაფერი ოქმი, თუმცა ერთი მოკლულთაგანიც ვიდრე გარდაიცვლებოდა სრულ გონებაზე იყო და ყველაფერზე შესაფერ პასუხს იძლეოდა. ამათთვის ყველანი უცნობნი ყოფილან, ერთის გარდა. უიარაღო ხალხზე გამარჯვებული ვაჟკაცები 60 თუმანი ფულით, ოქრო-ვერცხლის ნივთებით სრულით გამოცვივდნენ დუქნიდან და მიიმალნენ შეუმჩნევლად. ამ ალიაქოთმა და ხმაურობამ თავს ზარი დასცა მთელს სოფელს და სროლის შემდეგ დუქანთან მოზღვავდა.—შეზარხოშებული სტრაჟნიკები დაედევნენ ყაჩაღებს, მაგრამ ტყუილად.

მეორე და მესამე დღესაც გაჰყვა მდევარი.

ამ საქმის თაობაზე აქ მოვიდნენ სართიჭალის ბოქაული და მაზრის უფროსის თანაშემწე... 16 ქრ., სადილობისას, ნაწილი მდევრებისა: 1 აფიცერი 4 თუ 5 სტრაჟნიკით ნორიოდან მამკოდისაკენ მიმავალ გზაზე შეეხეჩა ყაჩაღთა ბრბო, როდესაც იგი პურის ჭამას აპირებდა, ყა-

ჩალები წამოცვივდნენ და ჩასაფრებულებმა დაუწყეს სროლა, რაზედაც სტრაჟნიკებმაც უპასუხეს. ცოტა ხნის სროლის შემდეგ ყაჩაღებმა ყველაფერს თავი დაანებეს და გაპარვით უშველეს თავს. სტრაჟნიკებს ორი ცხენი მოუკლეს. ყაჩაღებს ადგილობრივ დარჩათ ფარაჯები, თოფი, ერთი ტიკი ღვინო, ყველი, თეთრი პური და სხვა. ამბობენ, ესენი უნდა ყოფილიყვნენ ფეიქრიშვილის ბრბოს ხალხი, რომელთაც თავისი ვაჟკაცობა მრტყოფელებსაც ზჩვენესო.

**უკმაყოფილო.**

## თ. ი. როდიჩევის მეორე ლექცია.

როდიჩევის მეორე ლექციასაც ისევე დიდ-ძალი საზოგადოება დაესწრო, როგორც პირველს. ამ ჟამად ლექცია „გერცენზე" წაიკითხა. გერცენს, როგორც ორატორმაც შენიშნა სამართლიანად, ფრიად დიდი გავლენა ჰქონდა იმ დროინდელ საზოგადოებრივ აზრზე, და ამიტომ შეუძლებელია ამ აზრისა უიმისოდ, თუ თვით გერცენი და მისი ნაწარმოებნი არ გავიცანით. როდიჩევის ლექციაც იქითკენ იყო მიმართული, რომ დამსწრე საზოგადოებისათვის გაეცნო როგორც საყურადღებო პიროვნება გერცენისა, ისე მისი ნაწერების უმთავრესი აზრი და მნიშვნელობა.

ბიოგრაფიულ ცნობებთან ერთად როდიჩევმა აღნიშნა აზროვნების თანდათანი ცვლილებანი, რომელთაც განიცდიდა გერცენი. ორატორის აზრით, „გერცენი" სოციალისტი იყო. ყოველ შემთხვევაში თვით გერცენს ამნაირად ჰქონდა წარმოდგენილი თავისი მსოფლ-მხედველობა. პრაქტიკულ მოქმედების დროს კი გერცენი სულ მცირე რეფორმებით კმაყოფილდებოდა. მრავალი იმათგანი, როგორც, მაგალითად, გლეხთა განთავისუფლება მიწით კიდეც განხორციელდა. რამდენად ზომიერი იყო მისი შეხედულება, ეს იქიდანაც სჩანს, რომ მან დაჰგმო რევოლიუციონური საშუალება ბრძოლისა იმ დროინდელ ახალ-გაზდების და პოლონეთის აჯანყება. როდიჩევი გერცენის ნაწერებიდან ამოკრეფილ ციტატებითა სცდილობდა დაემტკიცებინა, რომ იგი კატეგორიულად უარყოფდა რევოლიუციას და ემხრობოდა ევოლიუციას. შეეცვალა აზროვნება გერცენს სხვაფრივაც. უწინ, როდესაც სასტიკი ბრძოლა არსებობდა სლოვიანოფილებსა და ეგრედ წოდებულ „ზაპადნიკებს" შორის, გერცენი ამ უკანასკნელთ ემხრობოდა, მაგრამ პარიზში ცხოვრების დროს იგი ახლო გაეცნო ევროპის კულტურას, იმედები გაუცრუვდა და გულის-ყური ისევ რუსეთის სინამდვილეს შეაპყრო. მაშინ გერცენის აზროვნებაც სლავიანოფილების აზროვნებას დაუახლოვდა. ამ რიგად, როდიჩევმა ისე დაახასიათა გერცენი, როგორც თავისუფლებისთვისა და პროგრესისათვის მებრძოლი, მაგრამ ამასთანავე ზომიერი მებრძოლი. კიდეტ როდიჩევის ყურადღებას სწორედ გერცენის ის მხარე იქცევდა, და ამიტომ დახასიათებაც, ცოტა არ იყოს ცალ-მხრივი გამოვიდა. გერცენი, როგორც „გაუსწორებელი" სოციალისტი, დაიჩრდილა და გამოჩნდა ზომიერი ლიბერალიო.

უკანასკნელი ლექცია როდიჩევმა ნაკლების აღფრთოვანებით წაიკითხა. მხოლოდ ლექციის დასასრულ შევიდა გრძნობაში და საზოგადოებამაც მხურვალე ტაშის ცემით დააჯილდოვა ორატორი.

### პირველი ქართული კონცერტი.

26 დეკემბერს სრულდება ოცდახუთი წელიწადი, რაც პირველად ქართული კონცერტი გაიმართა ბ-ნ რატილის ხელმძღვანელობით და განსვენებულ ლადო აღნიაშვილის თაოსნობით. მუსიკა ჩვენში საზოგადოდ ნელ-ნელა ვითარდება, მაგრამ იგი მაინც განვითარების გზას ადგია. ქართულ მუსიკას, როგორც საზოგადოდ ყველა ჩვენს კულტურულ საქმესა და დაწესებულებას, მძიმე წარსული ჰქონდა. მიუხედავად ამისა, ხელოვნების ამ დარგსაცა ჰყავდა თავისი მოღვაწენი, რომელნიც გულ-მხურვალედ ექცეოდნენ ამ საქმეს და მომავალის იმედით აღფრთოვანებულნი მუშაობდნენ, რამდენადაც შეეძლოთ. პირველი ქართული კონცერტი დასაწყისი იყო ქართულ მუსიკის აღყვავებისა, და ეს დღე ქართულმა საზოგადოებამ უყურადღებოდ არ უნდა დასტოვოს. თაოსნობას თუ ქართული ფილარმონიული საზოგადოება იკისრებს, ძალიან კარგი იქნება.

# რითმებისგან კუბო დავწან...

რითმებისგან კუბო დავწან, რითმად კუბო გამოვჩარხე
და ოცნება უხილავი შიგ ჩავმარხე... შიგ ჩავმარხე...

⁂

მკერდში გული აღარა მაქვს, აღარა მაქვს თვალთა გუგა,
ცეცხლის ცრემლმა ამომიწო, ცეცხლის ცრემლმა გადაბუგა;

⁂

აღარ დავწერ! აღარ... აღარ... ან რად ვწერო მე ლექსები?
სულ ერთია, მის სიყვარულს ხომ არას დროს ვეღირსები?

⁂

წუხელიც კი სიზმრად—ძილში, მან ჩემს ახლოს მოირბინა,—
დამკრა დანა... და მგოსნის სულს ცის ღრუბლებში მისცა ბინა;

⁂

სიზმარშიაც არ მასვენებს, სიზმარშიაც მითხრის საფლავს,
სიზმარშიაც—გესმით? გესმით?—სიზმარშიაც სიზმარს მიკლავს.

⁂

ნუ დამძრახავ, გთხოვ, სამშობლოვ! გთხოვ, სამშობლოვ, ნუ დამძრახავ,
რომ სიყვარულს ზე-ქვეყნიურს მომაკვდავთა გულში ვმარხავ!..

⁂

ზენაარო!.. ზენაარო! არავინ მწამს შენს გარეშე,
შეიწირე გიჟის ლოცვა, მეც მიმიღე შენს ფრთებ-ქვეშე.

⁂

რითმებისგან კუბო დავწან, რითმად კუბო გამოვჩარხე
და ცოცხლადვე სული ჩემი შიგ ჩავმარხე... შიგ ჩავმარხე...

**ი. გრიშაშვილი.**

## ოცნება და მოლოდინი

### „ქვეყანასა ზედა მშვიდობა".

ოცნება გაჭირვებულთა ნუგეშია. უკეთესის მოლოდინი ერთად ერთი სამკაულია უბედურთა შავ-ბედითის არსებობისა. კმაყოფილნი და ბედნიერნი აწმყოთი ცხოვრობენ, ჩაგრულნი და ბედის მომდურავნი კი მომავლით.

რა აუტანელი იქნებოდა სიცოცხლე, ბუნებას რომ ოცნების ნიჭი და მოლოდინში უსაზღვრო მოთმინება არ ჩაექსოვა ადამიანის სულიერ არსებაში!

მუდამ ასე იყო და ასე იქნება, სანამ იქნება ქვეყნად ბატონი და ყმა, ჩაგრული და მჩაგვრელი,—სანამ ესრედ-წოდებული ადამიანი მართლა ადამიანი არ გახდება.

ასე იყო იმ დროსაც, როცა ერთი მუჭა ისრაელი ვნება-მორეული ელოდა მესსიას. დღეს ალამებდა და ღამეს ათენებდა იმ იმედით, რომ ბეთლემის შვილი ერთის ხელის გაქნევით განაახლებდა ქვეყნიერობას და მას, ისრაელს, უეჭველად პირველ ადგილს უბოძებდა განახლებულ ქვეყანაზედ.

„მაშინ აღეხვნენ თვალნი ბრმათანი და ყურთა ყრუთასა ესმოდეს.. მაშინ ჰხტებოდეს კოჭლი, ვითარცა ირემი, და ცხად იყოს ენა ძლითმზრახველი.. არა იყოს მუნ ლომი და არცა მხეცთა ბოროტთაგანი... ტვისა წილ აღმოგიცენდესთ კვიპაროსი და ღვივისა წილ მურტი... მაშინ სძოვდეს მგელი კრავთა თანა და ვეფხი თიკანთა თანა განისვენებდეს... ზვარაკი, ლომი და კურო ერთად სძოვდენ და ყრმამან მცირემან მოიყვანეს იგინი" (წინ. ესაია, თ. 11, 35 და 55)..

ასე ანუგეშებდნენ ისრაელს მისი საუკეთესო შვილნი, ოცნებით მდიდარნი და დაპირებით უხვნი. და ისრაელსაც სჯეროდა მათი. ამ მოლოდინით სულდგმულობდა. მთელის არსებით ოცნებობდა ამ ყრმაზე. თითქოს უკვე არწევდა და ეალერსებოდა მას, თავს ევლებოდა. მისთვის ინახავდა ხანგრძლივ მარხვებს. მისთვის მიჰქონდა თავისი ნაშრომის მეათედი საყდარში ძღვნად. მის სანატრელ სახელს დაღიღინებდა თავის პირმშოს აკვანს.

მოელოდა და ოცნებობდა. მოლოდა სწამდა, რომ ისეთი მშვიდობა, სამართლიანობა დამყარდებოდა ქვეყნად, რომ მგელი ბატკანთან იძოვებდა..

და უცებ, ღამის წყვდიადში, აბობოქრებულ ქალაქის მიყრუებულ განაპირას მეხივით გაისმა: „გიხაროდეთ, ტანჯულნო და მაშვრალნო! დაიბადა! ქვეყანასა ზედა მშვიდობა!"

— ჰო, ჰო, დაიბადა... ქვეყანასა ზედა მშვიდობა,—განიმეორა ისრაელმა და გულ-მოშვებით ამოიხვნეშა. ეხლა კი ეშველა. ეხლა არავინ ახდის ნამუსს მის ცოლს და ქალსა. ამის შემდეგ არავინ შეურყვნის ენაზ. არ და ვერ დასჩაგრავენ. ეხლა არავინ უსაყვედურებს, რომ ის ისრაელია და არა რომის უფლება-მოსილი მოქალაქე. გაჰქრა გულ-ქვა წარსული... ეშველა ისრაელს... „ქვეყანასა ზედა მშვიდობა"...

მაგრამ ოცნება და მოლოდინი სინამდვილეს ვერ გადაჰქმნიან.

ძლიერნი და ბედნიერნი არც ისე მოუმზადებელნი იყვნენ, რომ ჩაჩაგრული ისრაელი მიეშვათ ყრმასთან მოსავლელად თვით მოუარეს— და ჯერ კიდევ ნორჩი და გაუშლელი გამოასალმეს წუთი-სოფელს.

— სად არის „ქვეყანასა ზედა მშვიდობა", რომლის დაბადება თვითონ გავიგონეთ, საკუთარის თვალებით ვიხილეთ!?—სასოწარკვეთილად კითხულობს მრავალ ეროვნების, სარწმუნოების და რწმენის წარმომადგენელი თანამედროვე ისრაელი და ოცნება-მოლოდინის უაზრო ლიმილი აღბეჭდვია ტანჯულს პირის-სახეზედ.

— აი თქვენი „მშვიდობა"! — ჯოჯოხეთურის ხარხარით უხსნიან მას ძლიერნი და ბედნიერნი და სუფთა, სურნელოვან წყლებით დაბანილ ხელებით დაცინვით უშვერენ ქვეყნიერობის ოთხ-კუთხივ.

იქიდან კი მოსჩანს და ისმის ზარბაზნების გრიალი... თოფების ჭექა. ცამდინ ცეცხლის ალი... განგმირულთა კვნესა... უსულო გვამთა გორაკები... წართმევა... გლეჯა... ძალ-მომრეობა...გამარჯვებულთ ძლიერი სიცილი და წაქცეულ უძლურის სულთ-მობრძაობა, ბრგვენა.

და მრავალ-ფეროვანი ისრაელი ხედავს ამას, ესმის, ჰგრძნობს, იცის, რომ ქვეყნად სიმართლე ჯერ არ არსებობს და ცხოვრების გადასაქმნელად საჭიროა თვით ცოცხალთა სულიერ არსების გარდაქმნა—ესრედ წოდებული **ადამიანი მართლა ადამიანი გახდეს.**

მაგრამ მაინც ოცნებობს და მოელის. მაინც ჯიუტად დაეძებს ერთხელ დაბადებულ „მშვიდობას ქვეყანასა ზედა", სადაც უკვდავ ილიას სიტყვებით:

„რყვნა, წაწყმედა და ღალატია,
სადაც ძმა ჰხარობს სისხლსა ძმისასა;
სად ცილი, ზაკვა ძულებადა ჰხდის
წმიდა სიყვარულს მოყვასისასა...
სად ცოდვა კაცსა სდევნის დღე და ღამ,
ვითა მპარავი და მტაცებელი;
სად, რასაც ჰხადის მართალი მართლად,
მას უმართლობად ჰქმნის ცოდვის ხელი".

**ახელი.**

## ბიბლიურ ჰანგზე

### (სამჭედლოში).

I.

ქალაქ ბეთსამისის ახლო, პატარა ღელეს პირად, ოსტატს სალათიელს სამჭედლო ჰქონდა გამართული. იალონიდანვე გააჩაღა მან ცეცხლი ქურაში და თავისს მძიმე, მაგრამ ძლიერ საჭირო და სასარგებლო შრომას შეუდგა. ბეთსამისის ახლო-მახლო სოფლებისა და დაბების, მცხოვრებლები ვისაც რამე რკინეული გასაკეთებელი ჰქონდა, უმეტესობა მასთან მოდიოდა. მჭედლები განა სხვები არ იყვნენ, მაგრამ ოსტატობაში სალათიელს ვერ შეედრებოდენ. სალათიელს გაკეთებული ნაჯახი ტვიროსშიაც იხსენიებოდა. სამუშაო მართლაც ძალიან ბევრი ჰქონდა. თვითონ სალათიელი და ორი მისი ვაჟი, ნათანი და იობედი გარიჟრაჟიდან მიმწუხრამდე გამუდმებით სცემდენ ჩაქუჩს გახურებულ რკინას და საქმეს მაინც ვერ აუდიოდენ.

ოსტატი სალათიელი ხასიათით იყო თავ-მდაბალი, შესახედავად უშნო, ტანად დაბალი და ხმელ-ხმელი, მაგრამ ჭკვიან კაცად და სჯულის წიგნებში განსწავლულად ითვლებოდა. ცოლი ჰყავდა ახოვანი და ძალიან ლამაზი ქალი სალომე, ნაგე მეჭურჭლის ასული, ნაზარეთიდან. შვილები დედას ჰყავდენ: მაღალი, წარმოსადეგნი. უფროსი, მათანი, ოცდარვა წლისა იქნებოდა. შავწვერა, თმა ხუჭუჭა, უმცროსი, იობედი კი მეცხრამეტეში იყო, სიმაღლით და ძალ-ღონით ძმას თითქმის სჭარბობდა; საულვაშე ახლად ემწვანებოდა.

— დაჰკათ, დაჰკათ, ბიჭებო,— გადასძახა შვილებს ოსტატმა სალათიელმა, მაგრამ რა მამის წაქეზება უნდოდათ; ორი ღომივით ბიჭი მარჯვედ უშენდა ვეებერთელა ჩაქუჩს გახურებულ რკინას; ოსტატს კი მარწუხით რკინა ეჭირა და პატარა ჩაქუჩით საქმეს მიმართულებას აძლევდა. მძლავრად მოქნეულ ჩაქუჩთა დაგა-დუგისაგან სამჭედლოს კედლებს ზანზარი გაჰქონდა.

— პურის ჭამად არ დავჯდები, სანამ ხუთივე ნიჩაბს არ გამოვჭედავ, არ ცხრებოდა ოსტატი.—ჩემმა ცოლის ძმამ და თქვენმა ბიძამ მელქამ შემიკვეთა. ბეთსაიდაში ადგილი შეუძენია და ვენახი დაუსხამს. უსათუოდ ამ დღეებში უნდა გავუგზავნო ნიჩბები. წიგნსა მწერს, გვეპატიჟება. წრეულს არ გვაქვს იმისი თავი, შვილებო, და გაისად, თუ ღმერთმან მშვიდობა ქმნა, ვეწვიოთ, ტკბილი მაჭრით და ქიშმიშა ყურძნით გავიხაროთ. ისე ჰო, ისე ჰო, მაგრა, მაგრა, ოჰო... ეყოფა...

— დაუცხრომელი მუშა ხარ, მამა, სიცილით შენიშნა იობედმა, როცა კაი ხნის განუწყვეტელ რაკუნ-ხაკუნისაგან ცოტად შესვენეს.

— ახლა გაიგე, ბიჭო, მამი ჩვენის ხასიათი. მიუგო მათანმა,—მამას საჭმელი არც ეგემება, თუ დაწყებული საქმე ცოტად მაინც არ შეაკეთ-შეალამაზა. სამი სანიჩბე შემოკალაპოტებულია, ორი ღა დაგვრჩა, ჯერ დრო ბევრია, მოვასწრებთ.

— მე მეშინია, ჩამოყალიბებას არ დასჯერდეს და გასალესადაც არ წაგვაკეციოს ხელები, მაშინ ვახშამი და სადილი ერთად გვექნება..

— ტყუილად არ ამბობენ: „სალათიელ მჭედელი და იოსები დურგალიო; მათ გაჭედილ განათალსა მაღლით მადლს ფენს უფალიო", მხიარულად შემოილაპარაკა ვიღაც ქოსა, წითურმა კაცმა, და კარებში გაჩერდა.

— ო..ო. ჩვენს შლომოს, ჩვენ მომღერალს, ჩვენს გამამხიარულებელს, შესძახეს მათანმა და იობედმა.—შლომო, შიგ შემობრძანდი.

— მბრძანებელი ნუ მოგიშალოთ, შვილო ღმერთმა, დინჯად წარმოსთქვა ახალ-მოსულმა და ისეთი დალმექილი სახე მიიღო, რომ მუდამ დინჯ და დაფიქრებულ ოსტატ სალათიელსაც გაეცინა.

— მბრძანებელი ბევრი გვყავს, შენ სხვა გვითხარი თორემ, ჩემო შლომო, ამოოხვრით უთხრა სალათიელმა

— ამ ჩემს მარჯვენას და იმ შენ ბრუნდეს გამასწორებელს და ჩლუნგის გამაალმასებელ ჩაქუჩს გეფიცები ოსტატო, მე მბრძანებელი არავინა მყავდეს, რომ არა მაბადია რა, ვინ უნდა მიბრძანოს?

— განა ქონებაა მბრძანებელი?

— მაშ არქელაოს იროდის ძე ან კეისარი გეგონა? შენი მბრძანებელი, ოსტატო, ეს შენი სამჭედლოა, შენი აგარაკია, შენი ოჯახია. იციან, რომ მათ ვერსად წაუხვალ და ამიტომ აქეთ იქით გწევენ, ხან ლებიტელნი, ხან მეფის მოხელენი. შლომოს კი არა აბადია რა და სიტყვასაც ვერავინ ეუბნება. აბა მკადროს ვინმემ დღეს აქა ვარ, ხვალ იქა ვარ". მაგრამ, ოსტატო, ამას თავი დავანებოთ. ხუთი წელიწადი შესრულდა რაც შენი გაჭედილი დანა მქონდა, გუშინ წინ, დავილუპე კაცი, იორდანეს პირას დავკარგე. გამიჭედე ოსტატო, თავს შემოგევლე, ახალი დანა გამიჭედე, და თუ შლომო ვარ, აი ახლა ზღვისკენ მივდივარ და ერთ კაი მოზრდილ კობრს მომიტან; ხომ იცი თევზის ჭერაში გალილეველი ზებედე ვერ შემედრება. გამიჭედავ?

— გაგიჭედავ? მიუგო სალათიელმა.

— მაშ ნახვამდის.

— ე... სად მიეჩქარები, დაიძახეს ძმებმა.—ჯერ რამე გვიამბე

— თევზს მოვიტან, დანა დამახვედრეთ, მაშინ ვილაპარაკოთ, მოსძახა სამჭედლოს უკვე მოშორებულმა შლომომ.

— აი უდარდელი კაცი, სთქვა მათანმა.

— და ბედნიერი თუ გინდა; დაუმატა სალათიელმა.

II.

— ადე ბიჭო, დაჰბერე საბერველი, თავი დაუქნია სალათიელმა იობედს.—გვეყოფა დასვენება.

— შლომოს დანას მე გამოვჭედავ სთქვა იობედმა და საბერველს მიატანა.

— დაუბერე, დაუბერე, თუ გინდ ხუთიც სხვა გამოჭედე. უთხრა მამამ, სანიჩბედ მიჩნეული რკინის შანთს მარწუხი მოუჭირა, ქურაში ჩასდო და ზედ ნახშირი დააყარა.

ნელ-ნელა სწევდა საბერველის ტარს იობედი. მიმქრალი ქურა აშრიშინდა. ნაპერწკალი ნაპერწკალს მოსდევდა და ტკაცუნ-ტკაცუნით ზევით ადიოდა, ჩქარა ალიც ავარდა; ფუ, ფუ, ფუ, ფუუ... ფუუ.. ფუთფუთებდა საბერველი და სქელი ალი თან და თან მაღლა, მაღლა იწევდა. შანთი რკინა ჯერ გაწითლდა, შემდეგ მეტის მეტი სიმხურვალისაგან მოთეთრო ფერი გადაედო და აქეთ იქით მაშხალებივით ნაპერწკლებს ისროდა. ოსტატმა ზედ ქვიშაც დააყარა, რომ რკინას ცეცხლი უფრო მხურვალედ მოსდებოდა. რკინა შერბილდა, მოელვარე ნაპერწკალი უანგარიშოდ სცვიოდა; ზოგი თითქმის სამჭედლოს კარებამდე უწევდა.

— ჰე! დაიძახა ოსტატმა, მარწუხს ხელი მოავლო და შეერთებული რკინა გრდემლზე დაანარცხა. მათანმა დიდი ჩაქუჩი მოიმარჯვა და შანთს დაუშინა. იობედმა საბერველს ხელი უშვა, თავის ჩაქუჩის ტარს მოავლო ხელი და გრდემლისაკენ გაეშურა. ალბათ ტარს მაგრა ვერ ჩაებღუჯა, რკინის სიმძიმემ სძლია და ჩაქუჩი ხელიდან გაუვარდა, ცოტას დააკლდა, ფეხში არ მოიხვედრა.

— ჰოპ! ვიღაც მოეჩქარება წამოიძახა მან, ორივე ხელები საჩქაროდ ჩაქუჩს დაავლო, ძმის პირდაპირ დადგა და იმანაც გახურებულ შანთს დაუშინა.

„დი, დი, დი, დი, დი გაისმა ერთგვარი თავისებური ხმაურობა, ძლიერ ხშირი და ჩვეულებრივი სალათიელის სამჭედლოში.

— კურთხევა უფლისა თქვენზედა შემოილაპარაკა ვიღამაც.

— ეე. თურმე ვინ მოეჩქარებოდა! მიაძახა იობედმა.

— ერთი ამას უყურე, ნაჯახი ისევ მოაქვს, სთქვა მათანმა.

— კოსიმ შენა? ალბათ გამოგტეხია ნაჯახი... უეჭველია ქვას მოახვედრებდი, მეგობარო,—მშვიდად წარმოსთქვა სალათიელმა დ შებრტყელებული შანთი ხელ ახლა გასახურებლად ისევ ნალვერდალში ჩაფლო.

— აბა რა დაგიმალო, ოსტატო, გული გერჩის და თვალი გიჭრის, ვიცი რომ ტყუილით შენთან ფონს ვერ გავალ, ბარემ ეხლავე სიმართლეს ვიტყვი, მიუგო ახალ-მოსულმა, ილლიიდან მოკლე ტარიანი პატარა ნაჯახი გამოიღო და მჭედელს გადასცა.—სარის წვერი მინდოდა წამეთალა, ოსტატო, ნახევარ როკზედ დავდე, საიდანღაც პატარა კენჭი ყოფილიყო ზედ, თუმცა ფრთხილად ვიქნევდი, მაგრამ მაინც მოვახვედრე.

სალათიელმა ნაჯახი დაკვირვებით გასინჯა.

— ოოჰ! სამ ალაგას გამოგიტეხია. შევაკეთებთ, მაგრამ, ცოტა რომ სიმაგრეს მოხვდეს ისევ თავისი დაემართება. თუ გახსოვს მე მაშინაც გითხარი, ფოლადი დალეული აქ მეთქი; პირზე ფოლადი უნდა დაედოს, უიმისოდ, სულ ერთია, რაც გინდ ფრთხილად იხმარო, მაინც გამოტყდება.

— რა გაეწყობა, ოსტატო, დაუდე ფოლადი, თეთრს ვერ გიშოვნი და ერთს კარგ გოდორ ნახშირს მოგიტან.

— კარგი გაგიკეთებ, მხოლოდ კოსიმ, იცოდე ამ სამ დღეში ვერ მოვიცლი.

— შაბათისთვის ხომ იქნება.

— უეჭველია.

— შენი ჭირიმე, ოსტატო, როგორც შენი იმედი მქონდეს, ნაჯახი, ბაბაია, ხომ იცი, ჩემი მარჯვენა ხელია.

— კარგი. გავაკეთებთ, ისეთს გაგიკეთებთ, რომ თავისით სჭრიდეს, უთხრა მათანმა,—სხვა კოსიმ, ახალი რა იცი?

— რა უნდა ვიცოდე შვილო, მეფე არქელაოსს არა ვწვევივარ იერუსალიმში და მასთან პური არ გამიტეხია, სიდონში სავაჭროთ არ წავსულვარ და რომის კეისარს არ დავუბარებივარ! ვარ ერთი საწყალი კაცი, მუდმივ შრომა-ტანჯვაში. გუშინ წინ იოსია ლებიტელმა ჩამოიარა და ათის თავში ერთი გუდა თაფლი წამართვა. ის თაფლი იყო ჩემი ავლა-დიდება. რა ვქნა, ასე ხელ ცარიელი კი დამტოვა.

— კაცო ათის თავში, რატომ ხვარბალი არ მიეცი, დაეკითხა იობედი, რომელიც ისევ საბერველს უპერავდა.

— ცოლ-შვილს რა ვუყო, ყმაწვილო, ცოლ-შვილს. ბალღებს სიმშილით ხომ ვერ ამოვსწყვეტ. თაფლი თაფლია, სასიამოვნოა, მაგრამ ჯანდაბას მისი თავი, უთაფლოდ როგორც არის კიდევ გასძლებს კაცი და უპუროდ ხომ ყოვლად შეუძლებელია... მოსავალი წრეულს, ოსტატო სალათიელ, ძლიერ ნაკლები იყო. იელოვას გეფიცები, რასაც მოველოდი იმის ნახევარი არ მიმიღია. ძნა თითქოს ბევრი სჩანდა, ყმაწვილო, მაგრამ როცა გავლეწე, მარცვალი ძლიერ ცოტა დარჩა. რაც არის ისიც, რაღაც ნაბიჭვარივითაა. ეხ! მადლობა უფალს, ყოვლისფერში, ეტყობა, დაივიწყა მან თვისი რჩეული ისრაელი, პურის მოსავალში ჩვენს კუთხეს ეგვიპტე არ შეედრებოდა და ახლა ამ ჩვენ ახლო-მახლოს ორი კაცი ვერა ვნახე წრევანდელი მოსავლით კმაყოფილი. ალბათ დიდი ცოდვები მიგვიძღვის მის წინაშე, კურთხეულიმც იყოს მისი სახელი.

—ეხ! კოსიმ, კოსიმ, მიუგო ოსტატმა და ჩაქუჩი გახურებულ რკინაზე, კვლავ აახმაურა—ღმერთს იელოვას... ჩვე...ნი ცოდვებისაგან არც შესცივა და არც დასცხება... ჩვენი ცოდვები ჩვენვე გვიმტვრევს ცხვირპირს... და... დაჰკარ-პირს... და... დაჰკარ, დაჰკარ, შვილო, აი აქ, ჩაქუჩით უჩვენებდა ოსტატი,—დედავ, კიდევ ოოჰ, ეყოფა. აბა ახლა, შვილო, იობედ ერთი კარგად დაუბერე, მიუბრუნდა უმცროსს შვილს ოსტატი და უკვე ნიჩბის სახე მიცემული რკინა ისევ ქურაში შედვა.

— ჩვენი ცოდვები, კოსიმ, განიმეორა ოსტატმა, ჩვენვე გვილეწავს ცხვირ-პირს და გონს თუ არ მოვედით შეიძლება სულ მიწასთან გაგვასწოროს.. ჯერ ერთი ეს მითხარი, ცოდვა რა არის? შაბათს თხები საძოვარში გაირეკე, ან გამონგრეული ღობე შეაკეთე? შენი

მკვლელი ვიყო, თუ ეს ცოდო იყოს? ან იქნებ, მარხვა არ შეინახო, ყველი, ან ხორცი ჭამო? ამათი საფლავი მენახოს, მიუთითო შვილებზე, თუ ეს ცოდო იყოს! ამ გვარები სულ წვრილმანი რამეებია, ამათი გაზვიადებული მნიშვნელობის მიცემა, სჯულის წიგნების გაუგებრობაა. ჩვენი დამღუპველი ცოდო, ჩვენიხა სითის სიმჩატეა, ერთმანეთ შორის შური და მტრობაა, თავი და თავი ცოდო კი ჩვენი შეუგნებლობაა, ჩვენი უვიცობაა. აი რა უცარავდა სულს მუდამ ისრაელის სიძლიერეს და კეთილ-დღეობას. კაცო, მოსავლის სიმცირეს ჩივი და ის კი გავიწყდება, გქონდა კი საშვალება დროით მოგებნა? დროზე დაგეფარცხა? დროზე მოგემკო, დროზე გაგელეწა? რამდენი ხანია ჩვენი ქვეყანა შფოთავს. რაც იროდიმ ბეთლემს უმანკო ბავშვთა სისხლის ზღვა დააყენა, მას აქეთ ყანა და ბოსტანი ვის ახსოვს. სადაც მშვიდობიანი ცხოვრება არ არის, იქ ხეირიან ნაყოფს მიწაც ვერ მოსცემს. ჩვენში რომ იმ თავითვე შურსა და მტრობას არ ეჩინა თავი, ისრაელთა შორის ერთობა რომ ყოფილიყო, ეხლა სულ სხვა პირობებში ვიქნებოდით. მითხარ კოსიმ, სულის ქვეშ მითხარ, ვინ სძლია ისრაელი? ნაბუქოდონოსორმა? არა, ისკანდერ მაკედონელმა? არა, ანტიოქ ეპიფანემ? არა. ისრაელი სძლია თვით ისრაელმა, შინაურმა ურთიერთ მტრობამ და განხეთქილებამ. კაცო, იუდას რა ჰქონდა სამტრო რუბენთან, ორთავენი იაკობის შვილები არ იყვნენ? ყოფილიყვნენ ერთად მტკიცედ. სიძლიერე ხომ ერთობაშია ..

— მამა, მეტი მოუა, კოსიმს მაინც ვერას შეასმენ, მოსძახა იობედმა და საბერველი შეაჩერა.

— ოი, მართლა შესძახა სალათიელმა და აპრიალებული რკინა საჩქაროთ ქურას მოაშორა.

გაიმართა ისევ ჩაქუჩების დაგადუგი. პრიალა ნაპერწკალი ირგვლივ ათასობით სცვიოდა.

— შორს, შორს კოსიმ, დაგწვამს, იძახოდა ხუმრობით მათანი. კოსიმ მართლაც შეშინებული კედელს ეკვროდა და ნაპერწკალის ყოველ მოხვედრაზე სასაცილოდ ცალ ფეხს მაღლა იშვერდა.

III.

— გიხაროდენ ოსტატო, სალათიელ, მრავალ ჟამს გნახე მშვიდობით, მოისმა ხმა და ერთი მაღალ-მაღალი გრძელ-წვერა მთლად გათეთრებული და კარგად ჩაცმულ-დახურული კაცი სამჭედლოს კარებში გამოჩნდა.

— მანასე! შესძახეს სამთავე მამა შვილებმა, ჩაქუჩები დაყარეს და ახალ-მოსულს საკოცნელად მოეხვიენ.

— საით, როდის, როგორ? მიაყარეს კითხვები.

— აი დღეს მოვედი იოპედან, ნამგზავრევს ჯერ არც კი გამომიძინია ხეირიანად... თქვენი ნახვა მომწყუროდა, მეგობრებო. ერთი შემხედეთ იობედს საულვაშე ამწვანებია. პატარა ნეემანი როგორა გყავს, ოსტატო, სალომე ხომ მშვიდობით ბრძანდება.

— ღმერთმან მშვიდობაში გიკითხოთ. ვართ ყველანი..

— ჰაი, ჰაი, ეს ხომ ჩვენი კოსიმაა, მუდამ ახალგაზდა, დაუბერებელი, მიეალერსა ახალ-მოსული კოსიმას.

— შენი მტერი, ბატონო, მანასე მე რომ ვარ. დრომ თავისი გაიტანა, ბატონო, არც ხელშია ძალა, არც მუხლებშია ღონე.

— გული ხომ ჯერ კიდევ მხიარულია?

— გული კი, ბატონო. სიკვდილამდე ასე იქნება.

საერთო ხარხარი ატყდა.

— სხვა მანასე, ბევრი ქვეყნები მოიარე, რომშიაც იყავ? დაეკითხა სალათიელი.

— ვერა, ოსტატო, რომამდე ვერ მიუწიე, ანტიოქიაში ვიყავი, ეფესოში, სირაკუზაში. არ იყო წრეულს მაინც და მაინც ხეირიანი ვაჭრობა; ყველგან ქესატობას მოგახსენებენ, მეგობარო.

— მაინც ბევრი გიმოგზაურნია. როგორ ცხოვრობენ საბრალო ჩვენი გადახვეწილი ძმები.

— ზოგან ძლიერ კარგად, ზოგან, ასე, ისე. მაინც ისეთ დაბა ქალაქს ვერ იპოვნი, რომ ჩვენები არ ცხოვრობდენ. მერე რა ვაჭრობის უნარი აქვთ რომ იცოდე. ეფესოში, მაგალითად, საუკეთესო ვაჭრები ჩვენები არიან. ზოგს საკუთარი გემებიცა აქვს.

— აი, უფალო, მოიხსენე ჭაბუკი შენი იაკობი, სასოებით წარმოსთქვა სალათიელმა.

— მაგრამ რაღათ გინდა, ოსტატო მაგათი სიმდიდრე, მაგათი გემხომალდები. ჩვენთვის, ჩვენი სამშობლოსათვის ჩვენი გადახვეწილი ძმები, ბევრნი გამოსადეგნი არ არიან.

— რატომ, შე კაცო, პირ იქით, მე მაგათი დიდი იმედი მაქვს.

— შემცდარი ხარ, მეგობარო.

— ვე?!

— დამერწმუნე.

— ჩვენთვის, ოსტატო, ჩვენი ქვეყნის კეთილ-დღეობისათვის, იცოდე, უსარგებლოა ყველა, ვინც ჩვენ გვერდით არ გვიდგას, ვისაც ჩვენი ენა დავიწყებული აქვს, ვისაც ჩვენი ზნე-ჩვეულება არა სწამს. ჩვენია ის, ვინც ჩვენთან ერთად ეწევა ცხოვრების ჭაპანწყვეტას. მერწმუნე, ჩვენთვის გამოუსადეგარია ვინმე მდიდარი, ან მიღებული კაცი, თუმცა შთამომავლობით ჩვენი სისხლ-ხორცი, მაგრამ შორს გადახვეწილი; ვისაც დავიწყებული აქვს სამშობლო ენა, ზნე-ჩვეულება. თუ მდიდარია, მისი ყოველ დღიური საზრუნავია, როგორმე დრაკანი დრაკანს მიაწებოს, თუ რომის კეისრის მოხელეა, სულ იმის ცდაში იქნება, როგორმე მთავრობას თავი შეაყვაროს. ამისათვის კი თავ-დაპირველად საჭიროა თავისი ეროვნება დაივიწყოს, რომის მოქალაქედ ჩაეწეროს და რომის განდიდება-გაძლიერების საკურთხეველზედ თავისი თავი ზვარაკად შესწიროს. რომაელებს სხვა ხალხი არა სწამთ, სხვა ერის არსებობა ვერც კი წარმოუდგენიათ. ისინი ხომ სხვებს ბარბაროსებს ეძახიან.

— მე კი მათი იმედი მქონდა, ცოტად მაინც ჩუმ-ჩუმად ჩაილაპარაკა ოსტატმა სალათიელმა და თავი ძირს დაჰკიდა.

— მაგათ იმედზე თუ მიდგა საქმე შენი მტერი! ჩვენი ხსნა ოსტატო, ისევ ჩვენ ხელშია.

— ამაში კი სავსებით გეთანხმები, ძვირფასო მანასე! ამას წინად კოსამსაც ვეუბნებოდი: ისრაელის ხსნა ისრაელის შეერთებაში და საზოგადო კეთილ-დღეობისათვის თანხმობით მოქმედებაშია.

— და სწორედ ყოველი ჩვენი უბედურების თავი ის არის, რომ ძეთა ისრაელისათა არ სჩვევიათ ეს თანხმობა, ეს შეერთებული ძალით მოქმედება. ოსტატო, მოიგონე ისტორიული წარსული დავით დიდებულზე უკეთესი დრო ურიასტანს ხომ არ განუცდია, მაგრამ აბა გადაშალე მეფეთა წიგნი? რა ტანჯვა, რა ღალატი, რა გაუტანლობა, თავისივე ოჯახში, ღვიძლი შვილისაგანაც კი განიცადა დიდებულმა მეფემ. საუბედუროდ, იმ თავითვე რაღაც შუღლი დაითესა იუდასა და ისრაელის შორის, მოჭაბიკე ხარებივით უბღვერდენ ერთმანეთს და ერთმანეთის დაწიხლვა - დამცირებით დაბნელებულნი ვერა ხედავდენ მათ შთანსათქავათ განმზადებულ ირგვლივ მოსეულ, ურიცხვ მტრებს; ჩრდილოთ ასურეთს, მაშრიყით ბაბილონს, მაღრიბით ბერძნებს. რა ჰქონდათ, ოსტატო, სამტრო, განა იაკობი „თვისად არ გამოირჩია უფალმან?“ ყველასათვის არ გააპო ზღვა მეწამული? ყველას არ უწვიმა ზეცით მანანა? იორდანეც უკუ აქცია, რომ მათ მეხსიერებაში ერთხელ და სამუდამოდ ალბეჭდილ-იყო ის მარტივი სინამდვილე, რომ იეღოვა არ არჩევს ამიერ და იმიერ, რომ მისთვის ყველა ძვირფასია, ეფრემი და მანასე, სვიმეონ და ლევი. ჩვენ კი ჩვენდა სამარცხვინოთ პირველ წვრილმან უკმაყოფილების დროს გავიზარდენით: „აღარ გვინდა, არ გვიდევს წილი იესეს ოჯახთან, ისრაელ, გასწი შენ კარავშიო“.

— ოჰ! შენ კი გენაცვალე, მანასე, მაღალმა ღმერთმა არ მოშალოს შენი ენის მეტყველება, მრავალ ჟამიერ. რასაც მე მუდამ ვფიქრობ, რაც ჩემ გულში გახურებულ ქურასავით გუგუნებს, შენც მაგას ამბობ. ეს ყოველივე ასეა, მანასე, მაგრამ ნუ თუ სამუდამოდ უნდა გაწყდეს დავითის ქნარი? ცხადად წარმოსთქვა მჭედელმა და ჩაქუჩი გრდემლზე ძალზე დააკაკუნა.

— ხა, ხა, ხა, გადიხარხარა მანასემ და გრძელ წვერზე ხელი მოისვა. —ვერა გცნობ მეგობარო, შენ მუდამ მშვიდი, მუშაობას გადაღლეული კაცი, არ მეგონა, რომ ამ ზომამდე აღიტაცებოდი. ეს ერთ მხრივ ძლიერ სასიამოვნოა.. აბა რა გითხრა, ოსტატო, შენ შეკითხვას რა პასუხი გავცე? სულ უიმედობა ხომ საფლავის თანასწორია; მე კი ჯერ საფლავში არა ვწევარ და სრულებით არა მსურს იმედი ამოვიკვეთო. ვსასოებ, ოსტატო, რომ ისრაელის პატარა ნაპერწკალი მაინც სადღაც ღვივის, სულ არ ჩამქრალა. აი შენი ქურაც ახლა ერთი შეხედვით მიმქრალია, მაგრამ საჭიროა, რომ იობედმა საბერვლის ტარს ხელი დაავლოს და ჩვეულებრივ გასწი-გამოსწიოს, რომ ჩამქრალიცეცხლი კვლავ გაღვივდეს.

ღმერთო შენით, უფალო აღუნა, მოგვხედე, ზევით ხელებ აპყრობით წარმოსთქვა სალათიელმა.

— მაგრამ, ოსტატო, თუ აღტაცება უკუ ვაგდეთ და საქმის ვითარებას სალი თვალით შევხედეთ, სანუგეშოს ცოტას ვიპოვნით. ჯერ ერთი, ჩვენი ქვეყანა ერთობ პატარაა. მთელი ქანაანის ქვეყნის სიგრძე-სიგანე ქადესიდან აბელ-ბეთ-ამაქამდე და ზღვიდან უდაბნომდე ახლანდელ რომის საბრძანებელთან შედარებით ისე გამოჩნდება, როგორც ქათამი ძროხასთან და ეს ერთი ბეწო ადგილი სამ სამეფოდ არის გაყოფილი, ეს დაყოფა რომისაგან ხელოვნურად არის გამოწვეული, რადგან ეს საუკეთესო ხერხია მძლავრი ერისაგან წვრილი ერის დასაქსაქსავად. ამიტომაც არქელაოს იერუსალიმში გაამეფეს, ანტიპა გალილეაში და ფილიპე ტრაქონიტთა მხარეში. მეორედ, ოსტატო, თვითოეული ამ მეფეთაგანი მეფური თავმომწონეობით არის გატაცებული. მიუხედავად ამისა, რომ ძმები არიან, მათ შორის, როგორც ამბობენ, მეტოქეობამ უკვე იჩინა თავი. მეტოქეობას შური მოჰყვება, შურს მტრობა. ეჰ, მერწმუნე, ოსტატო, მე ბევრი მივლია, ბევრი მინახავს და ბევრიც გამიგონია, ვიცოცხლოთ, ვნახავთ. სამწუხარო ის არის, რომ ყველა ამ დავიდარაბის დროს ყველაზე უფრო ძე ისრაელისა დაისჯება, სულ ერთია სვიქმელი იქნება ის თუ იერუსალიმელი, ქებრონელი თუ გალილეველი. მაგრამ ოსტატო, —წვერებზე ხელი მოიკიდა მანასემ და ისეთი სახე მიიღო, რომ უნდოდა, რაღაც საგულისხმიერო ეთქვა, მაგრამ ამ დროს სამჭედლოს კარებს ხტუნვა-როკვით და „მამა, მამას“ ძახილით მოადგა სალათიელის შვიდირვა წლის უმცროსი ვაჟი ნეემანი.

— რა იყო შვილო, რა ამბავია...

— ჰა, ეს შენი პატარა ნეემანია, მიეალერსა მანასე?..

— ეს გახლავს, ამას ჩაქუჩს არ მივცემ ხელში. ეს შენ უნდა გაგატანო, ისწავლოს ვაჭრობა, ნახოს ქვეყნები.

— ბატონი ბრძანდები, მეც ამოდენა ვიყავი, პირველად გემში რომ ჩამსვეს და ალექსანდრიაში, წამიყვანეს.

— მამა, მამა, განიმეორა ბავშმა, —ძია იოსები მოვიდა, მარიამიც მოვიდა, იიშუც მოიყვანეს, ისე გაზდილა, ისე დარბის რომ...

— რაო? წამოიძახა სალათიელმა, —გესმის მანასე? კაცო, იოსებ, ნაზარეთელი დურგალი, დაბრუნებულა ეგვიპტიდან. დიდებულო ღმერთო, უკვე დაიღუპა, მეგონა. რაც ძლივს თავი დააღწია მტარვალს და თავს უშველა, მას აქეთ მის მნახველს ვერსად შევხვდი. ნუ თუ ცოცხალია ჩემი გულითადი მეგობარი, აღტაცებით ამბობდა მჭედელი.

— მადლობა უფალს, სთქვა მანასემ.

— კაცს ბედი თუ აქვს არ დაიკარგება, ამბობდა კოსიმა.

— მეგობრებო... მაგრამ ჰო, რა უნდა მეთქვა.. შვილო მათან, მიუბრუნდა შვილს ოსტატი, ახლავე შინ აირბინე და აბა შენ იცი, როგორ დატრიალდები. გვერდ-თეთრა თიკანი ეხლავე ხეზე ჩამოჰკიდე.., იოსებს უთხარი, მე ჩქარა მივალ... მეგობრებო... მანასე, კოსიმ, დღეს პური ერთად გავტეხოთ, ვიმხიარულოთ! ყველასაგან პატივ-ცემული და სასარგებლო შვილი დაუბრუნდა დღეს იუდას... მეგობრებო, გაფიცებთ მაღალ ღმერთს, ნუ სად ნუ წახვალთ... მე მხოლოდ ამ ნიჩაბს მივათავებ ორი გახურება არ მოუნდება. შვილო იობედ, აბა დაჰბერე, აბა ჩქარა!...

ოსტატმა ჩაქუჩი მოიმარჯვა და ქურას გვერდით გაჩერდა. თვალები სიხარულის ცრემლით აევსო.

იობედმა დაჰბერა „ფუ, ფუ, ფუ, ფუ..., იძახდა საბერველი და ნაპერწკალს ნაპერწკალზე ტკაც-ტკაცუნით ისროდა.

**უიარაღო.**

# შობა მთაში.

(კნუტ ჰამსუნისა).

საშობაოდ კარგა ბლომად ჩამოჰყარა თოვლი: პატარა სახლი მთლად თოვლში იყო ჩაფლული და მხოლოდ ზემო ორი სართული და ბანილა მოსჩანდა. ნამდვილად ეს იყო ქოხი თავის ეზოთი, რომლის პატრონის ავლადიდებას ერთი ძროხა, ერთი ღორი და ერთი ცხვარი შეადგენდა. აქ ზამთარ-ზაფხულ ერთი ოჯახი სცხოვრობდა. ქმარს ერქვა თორი, ცოლს—ქირსთი. ჰყავდათ ხუთი შვილი. უფროსებს ერთს თიმიანს ეძახდენ, მეორეს—ქალდეას. ქალდეა მოსამსახურედ იდგა ბარად, თიმიანი კი ამერიკაში წავიდა. სახლში დარჩენილ ბავშვებიდან ორი ვაჟი იყო, ერთი ქალი: რინალდი, დიდრიკა და თომელენა, რომელსაც მოკლედ ლენას ეძახდნენ.

იმ წელს, როგორცა ვთქვი, საშობაოდ თოვლი ბლომად ჩამოჰყარა, მოხუცი თორი მუყაითად ხვეტდა თოვლს მთელი დღე. მუშაობით ხვითქი გავარდა, მოიღალა. საღამოთი, რაც შობის წინა დღისთვის ლოცვანით იყო დაწესებული, ყველაფერი შეასრულა დ ჩიბუხით პირში ტახტზე წამოწვა. ცოლი ბუხართან ტრიალებდა, რაღასაც ხარშავდა, ხანგამოშვებით კი ოთახში ფუსფუსებდა და ყველაფერი წეს-რიგში მოჰყავდა.

— საქონელს საჭმელი დაუყარეთ? —ჰკითხა თორმა.

— დავუყრიდით მარა, —სწრაფად მიუგო ცოლმა.

თორმა ერთ ორჯელ კიდევ გააბოლა ჩიბუხი და ჰკითხა:

— რასა ხარშავ, თუ სწვავ, დედაკაცო, მთელი დღე? ვერ გამიგია, საიდან გამოატყვრინე ყველაფერი ეგა?—და თან ულვაშებში ჩაიცინა.

— ჰმ, არც ისე ღარიბი ვარ, როგორცა გგონია,—მიუგო ქირსთიმ და თავის ხუმრობაზე თვითონვე გაეცინა.

ჩვეულებად იყო დარჩენილი, თორის ოჯახში ვახშამზე უეჭველად არაყიც უნდა ყოფილიყო: ჭიქებში რინალდი ასხავდა ხოლმე. რინალდისათვის ეს პირდაპირ ძღდგომა იყო, თავის პატარა ხელებში ვარდის ყვავილებით მორთული ბოთლი უნდა სჭეროდა და ეს ხუმრობა ხომ არ იყო. ყველას თვალი იმისაკენ ეჭირა.

— დიდებს როცა უსხამ, ბიჭო, ბოთლი მარცხენა ხელში უნდა გეჭიროს,— უთხრა მამამ, —პატარა ხომ აღარა ხარ, უნდა ისწავლო

რინალდმა ბოთლი მარცხენა ხელში დაიჭირა. სასაცილო სანახავი იყო რინალდი, როცა არაყს ჭიქებში უმარჯვებდა. თავი გვერდზე გადაეღო, ენა გამოეყო და ფრთხილად ასხავდა. სუფრაც პირდაპირ სასტუმროდ იყო შემზადებული: აქ იყო თეთრი პური, შაქარლამა და სულზე თითო კვერცხი. იმითაც ეტყობოდა ხვალ შობა იყო, რომ ბურისათვის გვერდში კარაქიც ამოედოთ. თორმა ხმა მაღლა წაიკითხა ლიუტერის ლოცვა სადილის წინ. ვახშმის შემდეგ პატარა დიდრიკს დღეები არეოდა და ვახშმისათვის დედ-მამას მადლობა გადაუხადა და ხელი ჩამოართვა. მამამ ჯერ არ გააჩერა და როცა გაათავა, უთხრა: —დიდრიკო, მართალია, აქ არაფერი ცუდი არ არის, მაგრამ დღეს საღამოს არ უნდა გადაგვეხადო მადლობა, ხომ იცი, მადლობის გადახდა ახალ წლის წინა დღეს უნდა საღამოთი.

დიდრიკს ძალზე შერცხვა, აირთო, აიბუზა, მზად იყო ტირილი დაეწყო, მაგრამ და ძმამ—სიცილი დააყარა.

თორმა ისევ ჩიბუხი ჩაიდო პირში და ტახტზე წამოწვა, ცოლმა კი ჭურჭელს დაუწყო რეცხვა.

— დასწყევლოს ღმერთმა, რამოდენა თოვლი მოვიდა დღეს, სთქვა ცოლმა.

— ჯერ სად არის, ჯერ კიდევ მოვა, მიუგო თორმა; მთვარეს ირგვლივ რკალი აქვს და ყვავებიც დედა-მიწის პირად დაფრინავენ. ეს კი კარგი ნიშანი არ არის.

— მაშ ხვალ საყდარში ვერ წავალთ, რაღა?

— უჰ, რას ამბობ, დედაკაცო, ღმერთმა დაგიფაროს, გეტყობა, კალენდარში არ ჩაგიხედნია, რომ ხვალ საყდარში აპირებ წასვლას.

— მერე ხვალინდელ დღისათვის კალენდარში რა არის გამოხატული?

— უფეხო ხბოსა ჰგავს შეხედვით, მიუგო ქმარმა, თორემ ხომ იცი არ დაგიშლიდი.

— რას ამბობ, კაცო, შენ სწორე თქმა არ გინდა, მორჩა და გათავდა, უთხრა ქირსთიმ.

— რინალდო, მომაწოდე ე სათვალეები, მხოლოდ ფრთხილად, ხელიდან არ გაგივარდეს, მიუბრუნდა შვილს და თან ისევ სინჯვა დაუწყო საშინელს სურათს. აჰა, ხომ გეუბნები უფეხო ხბოზე კარგი არ არის მეთქი, ჰა, იმასა სჯობია?

— იესო მაცხოვარო, შენ დაგვიფარე ცოდვილნი, სთქვა ქირსთიმ და ხელები გულზე ჯვარედინად დაიწყო.

— მაშ, ქარბუქის მომასწავებელია, განაგრძო თორმა. მაგრამ ამას რა უშავს კიდევ. თუ გინდა ნამდვილი ასპექტი*) იხილო ხუთ თებერვლის ქვემოდა ნახე. იქ პირდაპირ ანტიქრისტეა დახატული რქებით.

— იესო მაცხოვარო, გაიმეორა ქირთიმ, დაგვიფარე ჩვენ ცოდვილნი, დაიფარე ამერიკაში ჩემი თიმიანიც. ამ სიტყვების შემდეგ პატარა ოთახში სიჩუმე ჩამოვარდა. გარეთ ნამქერი იწყებოდა. ბავშვები ერთმანეთში ტიკტიკებდნენ და ერთობოდნენ ვისაც რით შეეძლო. მათ შორის კატა დახრუტუნებდა და ხან ერთს გაუსვამდა კუდს, ხან მეორეს.

— ოჰ, ნეტა ერთი ვიცოდე, შობის წინა ღამეს რასა სჭამს ხემწიფე? უცებ წამოიყვირა დიდრიკმა.

— უჰ, ყველაზე კარგ კარაქს და ტკბილ ქადებსა, მიაყვირა პატარა ელენემ, რომელიც სულ რვა წლისა იყო.

— უყურე და, ტკბილი ქადები, მერმე ისიც კარაქით! სთქვა დიდრიკმა. მერე მგონი ხემწიფე ვარდ-ყვავილებით მორთულს მთელ ბოთლ არაყსა სვამს მარტო თითონ, არა?

მაგრამ რინალდს, რომელსაც „განათლება“ უკვე ეგემა, გაეცინა ამ ტიკტიკზე.

— ერთ ბოთლს! ჰა, ჰა, ჰა, ხემწიფე ერთს კი არა მგონი ოც ბოთლსა სვამს, სთქვა მან.

— იჰ, ოცს კი არა და, შეეკამათა ძმა.

— დიახ, სულ უკანასკნელის ოცს, ირწმუნებოდა რინალდი...

— რას ამბობ, ბიჭო, ხომ არ გაგიჟდი, ორიც გაუჭირდება კაცს, უთხრა დედამ, რომელიც ბუხართან იდგა, ოცს ვინდალევს!.. ლაპარაკში თორიც ჩაერია.

— რას ამბობთ, რას, უთხრა მან, რა, ხემწიფე უბრალო ვინმე ხომ არ არის, რომ ჩვენისთანა არაყი დალიოს? ხემწიფე აი შამპანიური ჰქვიან თუ რაცხა, იმასა სვამს. ერთი ბოთლი ხუთი-ექვსი კრონი ღირს, იმისდა მიხედვით, თუ რა ფასშია მასზე ინგლისში. აი, ადგება თუ არა ხემწიფე, მოიყუდებს მხოლოდ ამ შამპანიურ სასმელს და საღამომდე სვამს და სვამს. როცა სმას გაათავებს, ფოლნოსზე ისე დალევს ჭიქას, რომ უეჭველად გადმოვარდეს და ლუკმა-ლუკმა იქცეს. მერმე კი უბრძანებს დედოფალს დაჰგავოს...

— უიმე, ღმერთო, მერე რაზე ამტვრევს ჭიქებს? შეეკითხა ქირსთი.

— ჰმ, ერთი უყურე და! რა იმისთანა დიდი კაცი განა ერთი და იგივე ჭიქით დალევს სასმელს?

ოთახში სიჩუმე ჩამოვარდა.

— ვერ გამიგია, თორი, ღმერთმანი, ეს ყველაფერი საიდგან იცი? ჰკითხა დამშვიდებით ცოლმა.

— ჰმ, მეც ვიყავი პატარა, როგორა გგონია. მაგრამ ჩემ დროში მღვდლის მოტყუილება ისე ადვილი არ იყო. ყველას თავისი საგანი უნდა სცოდნოდა. მეც იქიდან შევისწავლე!—სთქვა ეს თორმა, ჩიბუხი გვერდზე გადასდო და თოფის წამალი მოიკითხა. მან კარგად იცოდა სადაც ინახებოდა ეს წამალი, თვითონ მოიტანა დუქნიდან და ფეხით ლოგინის ქვეშ ამოსდო. მაგრამ ამით უნდოდა ერთი ჟივილ-ხივილი გამოეწვია ოთახში. თოფის წამლის გაგონებამ ბავშვებს შორის მართლა ერთი ალტაცება და სიხარული დაჰბადა. წამალი რომ მოუტანეს, თორმა ის სამ თანაბარ ნაწილად გაჰყო და სამ-კუთხედ შეკეცილ ქაღალდში ცალ-ცალკე გამოახვია. ბავშვები მამას გარს-შემოეხვივნენ და ეხვეწებოდენ თან წაეყვანა ისინიც, რადგან იცოდნენ, რათაც უნდოდა ეს წამალი. თორმამ ქუდი დაიხურა და ბავშვებთან ერთად რის ვაი-ვაგლახით ბოსელში ჩავიდა. ის წამალი აქ უნდა დაეწვა. ქირსთი ოთახში მარტო დარჩა. ჩვენს მგზავრებს გზაში კორიანტელმა დაუბერა. რომ მივიდნენ, თორმამ პირჯვარი გადაიწერა, გააღო ბოსლის კარი, კიდევ გადაიწერა პირჯვარი და შევიდა შიგ. ბოსელში სიჩუმე სუფევდა. კარგა ჩამობნელებული იყო, ისმოდა ძროხის ცოხნა. თორმამ აანთო სანთლის ნამწვი და სათითაოდ წაუკიდა ქაღალდებს ცეცხლი ერთი ძროხის, ერთი ღორის და ერთიც ცხვრის სახელობაზე. ბავშვები რაღაც იდუმალი მოწიწებით შესცქეროდენ ყველა ამას, არავინ ხმას არ იღებდა. თორმა ერთხელ კიდევ გადაიწერა პირჯვარი, დაუძახა ელენეს, რომელიც უკან ჩამორჩა, რომ ცხვრისთვის ერთხელ კიდევ გადაესვა ხელი, გამოჰკეტა კარი და ყველანი სახლში დაბრუნდნენ.

— ძაღლი არ გაიგდება გარედ, ისეთი ამინდია,—უთხრა ცოლს თორმა, მთა, თითქოს კვამლშია გახვეულიო, ისეა შემოგრაგნილი თეთრად.

თორი ისევ ტახტზე წამოწვა ყავის მოლოდინში. ბავშვები მაგიდასთან თამაშობაში გაერთვნენ. ისინი თან-და-თან უფრო მხიარულდებოდნენ და ყველაფერზე ერთ კისკისსა სტეხავდნენ.

ქმარი ცოლს ხმა-მაღლა ელაპარაკებოდა:

— არ ვიცი, ღმერთმანი, მე რა... ბავშვებო, ისე ჰყვირით, კაცს თავის ლაპარაკი აღარ ესმის,—მიუბრუნდა ბავშვებს.—ჰო, პირ-და-პირ არ ვიტი რა ვქნა, სად ვიშოვო რამე სამუშაო..

— ღვთის მადლით რამე გამოჩნდება,—მიუგო ქირსთიმ და ყავა დაუსხა,—იქნება სოფელში სადმე მცველი იყვეს საჭირო.. რამე გამო-

*) ამინდის მომასწავებელი რამე გამოხატულება. ს. გ.

ტყვრება, ღმერთია მოწყალე. . მოდი ჯერ ე ყავა დალიე...

თორმა ყავა დალია და ისევ ჩიბუხს დაუწყო ბოლება. მერმე ცოლი კარებისკენ გაიხმო და რაღაც ჩურჩული დაუწყო. ბავშვებმა ყური სცქვიტეს. მშობლებს მიუახლოვდნენ, უნდოდათ გაეგოთ, რიზე ჩურჩულობდნენ. პატარა ელენემ დედ-მამის შუა თავიც კი შეჰყო, მაგრამ ერთი კარგისა მიუჩაკუნეს და გამოაგდეს.

— მე, მოგხვდა, მოგხვდა!—აბრაზებდნენ ძმები დას, მაგრამ ელენე მეტად საყვარელი და ლამაზი ბავშვი იყო და გამობრაზებას მალე დაინებებს ხოლმე, რინალდმა ხელად დიდი, ბრჭყვიალა ღილი მოუგზავნა და ელენე ამ მცირე საჩუქრით გაახარა.

თორი მივიდა შკაფთან და ბოლჩა ჩამოიღო. ამ ბოლოში ინახებოდა ამერიკიდან თიმიანის მიერ გამოგზავნილი შავი, რბილი ყელზე შემოსახვევი ტოტებიანი ბეწვი (боа). თიმიანს ალბად გაახსენდა იქ მთებში, როგორ ციოდა და ეს ბეწვი იმიტომ გამოგზავნა სახლში. მისი აზრით ეს ბეწვი იმ ბეწვებიდან, რომელიც კი მას ენახა, საუკეთესო, თბილი, არც თუ ძალიან იაფი იყო. მაგრამ ვის უნდა რგებოდა ეხლა ეს ბეწვი? ცოლ-ქმარმა ამაზე ბევრი იფიქრეს და ბოლოს გადასწყვიტეს რინალდისათვის მიეცათ, რადგან ის ჯერ ეს ერთი უფროსი იყო და მეორეც—ხშირად დადიოდა სოფელში და ამიტომ მისთვის თბილი რამ საჭირო იყო.

— რინალდო, მოდი აქ, დაუძახა შვილს თორმა. აი ეს ბეწვი შენ თიმიანმა გამოგიგზავნა, იაფი კი არ გეგონოს, შენ იცი, როგორც გაუფრთხილდები. ეკლესიაში რომ წახვიდე, ეს გაიკეთე ხოლმე აჰა, ჩამიბარებია, მშვიდობაში .

ყველა სიხარულით და გაკვირვებით შესცქეროდა რბილს ბეწვს, ყველა სათითაოდ სინჯავდა, ხელს უსვამდა მთელი საათი. პაწაწა ელენეც განუწყვეტლივ უცაცუნებდა ბეწვს თავის გალურჯებულ ხელებს, მაგრამ მისთვის ხელი არ უნდა მიეკიდა, ის ამისთვის ჯერ პაწაწა იყო. სამაგიეროდ ელენემ საჩუქრად პატარა სანთლის ნამწვი მიიღო, რომელსაც მალ-მალ ანთებდა, მაგრამ იმის შიშით, რომ მალე დაიწვებაო, ისევ აქრობდა მხოლოდ დიდრიკს არაფერი მიუღია, მაგრამ იმას მამა შეჰპირდა ახალს ბიბლიურს ისტორიას, ხელ-ფასს ავიღებ თუ არაო.

თოვლი უფრო და უფრო ეყრებოდა ფანჯრებს. დრო გამოშვებით კი ბუხრიდან პირდა-პირ ცეცხლში ჩამოდიოდა. შუა ღამე იქნებოდა დაწოლის დრო იყო. თორს ხვალ ისევ თოვლის ხვეტისათვის უნდა მიეყო ხელი.

— აბა, ბავშვებო, გასწით ზევით, დაიძინეთ,—უთხრა თორმა,—ილოცეთ და კარგად დაიწერეთ დაწოლის წინ პირჯვარი.

ბავშვები კიბეზე აცოცდნენ. რინალდს ნება მისცეს ბეწვი თან წაეღო ქალალდში გამოხვეული პატარა ელენეც თავის სანთლის ნამწვით აჰყვა თან... შუაღამისას, როცა ყველას ეძინა, დედამ ყური მოჰკრა, რომ ზევით რაღამაც გაიშრიალა. დედა შეეკითხა—რომელს გამოეღვიძაო. ხმა არავინ მოსცა. სიჩუმე იყო. პატარა ხნის შემდეგ ოდნავ მოისმა ზევიდან მსუბუქი, .პატარა ფეხის ხმა. ეს იყო პატარა ელენე. იგი ნელ ნელა ეპარებოდა ბნელაში ბეწვს, უნდოდა ერთხელ მაინც მოეხვია ყელზე და ეხლა შიშით პირდა-პირა კანკალებდა, ეშინოდა არ გაეგოთ.

საუცხოვო ბეწვი! ეს ერთად ერთი ლამაზი ნივთი იყო იმ ნივთთაგან, რომელიც კი ამ მთის ქოხში ყოფილა. რინალდმა მხოლოდ ორჯელ მოიხვია ყელზე დიდი სიფრთხილით, რომ არ გაეფუჭებინა. მაგრამ ამისდა მიუხედავად ზაფხულში მაინც ჩრჩილი გაუჩნდა და ბეწვმაც ცვივნა იწყო. **ხანი.**

# პატარა ფელეტონი

## მასხარას რჩევა.

(სურათი ინკვიზიციის დროიდან).

**მოთხრობა იუჰანი აჰოსი*)**

პატარა ქალაქის მოედანზე, ქალაქის სამმართველოსა და საკრებულო ტაძრის შუა, მოეგროვებინათ ყველანაირი საწამებელი იარაღი—ლურსმებ ჩარჭობილი ბოძები, ბოჭკები, გავარვარებული გაზი, თვლები. .

მოედნის შუა გულს კოცონი იყო გამზადებული. ის მზად იყო თავის ალში გაეხვია ერეტიკოსი თუ არ უარყოფდა თავის ცთომილებას, არ დასწყევლიდა თვის მოძღვრებას და არ იწამებდა კათოლიკეთა ეკლესიას, როგორც ერთად ერთს ხსნას სულისას.

ერეტიკოსი ბოძზე ხელებით ჩამოჰკიდეს, ფეხებზე კი ტყვიისებური სიმძიმე დაჰკიდეს. იგი მაინც განუწყვეტლივ ჰყვიროდა:

— „არ უარვყოფ!. არა ვცნობ!.. არ გემორჩილებით!“.

ერეტიკოსი ჩამოხსნეს და ახლა ლურსმიან ბოძზე დააკრეს, მაგრამ ის აქაც უფრო ხმა მაღლა ჰყვიროდა და ყვირილით აყრუებდა თავის მწამებლებს, აყრუებდა ყველას, ვინც იქ იყო.

ხალხი ბლომად შეყრილიყო. მთელი მოედანი, მახლობელი ქუჩები, სახლების ბანები, ფანჯრები ხალხით იყო სავსე.

ერეტიკოსს გავარვარებული გაზით უწყეს ხორცის გლეჯა. ტანი მთლად დაუბზრდა, მაგრამ წამებამ ვერ გასჭრაა. იგი არ უარყოფდა თავის რწმენას, არ ღებულობდა კათოლიკურს სარწმუნოებას, სარწმუნოება არ ემორჩილებოდა.

დიდმა ინკვიზიტორმა, კარდინალმა, რომელიც პაპის ბრძანებით საგანგებოდ იყო გამოგზავნილი ურწმუნოების ამოსაძირად, აღარ იცოდა რა ექნა ამ ჯიუტი კაცისათვის. ერეტიკოსს რომ თავის ნებით მოენანიებინა ცოდვა, გადაკვრით მაინც რომ ეთქვა —უარვყოფ ჩემს რწმენასო, ინკვიზიტორს ის ერჩივნა, ვიდრე აუტოდა-ფესათვის**) მიემართნა, რომელიც უკვ ნასკნელი საშუალება იყო და რომელსაც სასულიერო წოდების მაღალ წრეებში კაი ხანია კარგის თვალით აღარ უყურებდნენ.

კარდინალი, წითელ მანტიაში გამოწყობილი, აივანზე იჯდა. მიიხმო მთავარი ჯალათი და უბრძანა აღეთქვა ერეტიკოსისათვის, რომ აპატიებდა მის ნათესავებს, აპატიებდა მთელს ქალაქს, თუ ის უარჰყოფდა ერესს. მაგრამ გაწამებულმა ერეტიკოსი ზიზღით შეჰხვდა მათს წინადადებას.

დიდ ინკვიზიტორს მოთმინების ძაფი გაუწყდა, გაცეცხლდა. უბრძანა ჯალათს: მარცხენა ხელი მოსჭერ!

ერეტიკოსმა მარჯვენაც გაუშვირა, ესეც მომჭერიო. რამდენსაც უფრო მეტს აწვალებდნენ, რამდენიც უფრო საზარელი იყო მისი ტანჯვა წამება, იმდენად უფრო ხმა მაღლა ყვიროდა. მისი ყვირილი ედებოდა მთელს მოედანს, ისმოდა შორეულს ქუჩებში, შედიოდა სახლებში, ისმოდა ქალაქ გარედაც კი.

კარდინალს ჰირის ოფლმა დაასხა. ნაბრძანები ჰქონდა აუცილებლად უარი ეთქმევინებინა ერესზე, კათოლიკეთა ეკლესია ერწმუნებინა, დაემორჩილნა... ახლა კი წმიდა მამისა და კარდინალთა მთელი კრებულის რისხვა ელოდა.

— ნეტა რა აძლევს მას ამ ზესთაბუნებრივს ძალას—დაეკითხა თავისს თავს და ყველა მახლობელთ.

პასუხი ვერავინ მისცა. აქნობამდე ვისაც კი აწამებდნენ, მაშინვე უარჰყოფდა ხოლმე თავის შეცთომილებას.

წარსდგა წინ სასახლის მასხარა, რომელიც მის მეუფებას მუდამ თან ახლდა. მასხარამ სთხოვა კარდინალს, ორიოდ სიტყვის ნება მომეციო.

— სთქვი!—უბრძანა დიდმა ინკვიზიტორმა.

— შეუკარ კრიჭა!—ურჩია მასხარამ.

— ბრძენი მასხარა! ჭკვიანი სულელი!—სიხარულით წამოიძახა ინკვიზიტორმა.

მაშინვე უბრძანა ჯალათს ისე მოქცეულიყო, როგორც მასხარამ ურჩია. ერეტიკოსს პირში კაპი გაუკეთეს. ხელებით ბოძზე ჩამოჰკიდეს და ფეხებზე ისევ ტყვიისებური სიმძიმე დაჰკიდეს.

ერეტიკოსი ახლა კი სდუმდა. ჩასვეს ლურსმებ დარჭობილ სავარძელში—სდუმდა... გლიჯეს გავარვარებული მაშით—სდუმდა. .

თუმცა მისი ხმა მისწყდა, ახლა მღელვარება ხალხში დაიწყო. მოედანზე, ქუჩებში, ბანებიდან, ფანჯრებიდან იჭექა ხმამ:

— არ უარყო!., არა სცნა სხვა მოძღვრება!. არ დაემორჩილო!..

ეს ხმა მოედო მთელს ქალაქს.

და იგიც არ დაჰმორჩილდა, თუმცა აღარ შეეძლო ყვირილი, მაგრამ ხალხის ხმა რომ ესმოდა, ტანჯვა უმსუბუქდებოდა, ძალ ღონე ემატებოდა.

იმდენი ხანი აღგა თავის რწმენაზე, ვიდრე მწამებელთა ხელში არ განუტევა სული

აქ კვლავ იჭექა მრისხანე ხმამ მოედანზე, ქუჩაში, ბანებზე, ფანჯრებში:

— მან არ უარჰყო! მან არ მიიღო ახალი მოძღვრება! ის არ დაემორჩილა!

გაცეცხლებულ ინკვიზიტორს არ იცოდა რა ექნა, იგი სახეს იხოკდა, წვერს იგლეჯდა.

მასხარა კი—მასხარა იცინოდა, რადგანაც იმისი რჩევის წყალობით დაიყვირა მთელმა ხალხმა, როცა ერთს შეუკრეს კრიჭა.

**სან-განიძე.**

*) Юхани Ахо—ფინელი მწერალია, ეს მოთხრობა ფინურიდან რუსულად იყო გადმოთარგმნილი. ს. გ.

**) კოცონზე დაწვა. ს. გ.

# არეულობა სპარსეთში

დეპეშები.

**თეირანი.** დემოკრატების დაპატიმრებას განაგრძობენ. ქუჩებსა და ბაზარში ხალხი ვერა ჰბედავს თავრიზში მომხდარ ამბის თაობაზე მსჯელობას. ბაზრები ღიაა. ყველგან პოლიციელთა გაძლიერებული რაზმები დადის. წესიერება არ დარღვეულა.

**თავრიზი.** ააფეთქეს ოთხი სახლი, საიდანაც 8 და 9 დეკემბერს თოფს ესროდნენ რუსის ჯარს. სამხედრო-საველე სასამართლოს გადაწყვეტილებით კიდევ სამი ჩამოახრჩვეს. ქალაქში წესიერებას თანდათან აღგენენ. ქოიში რუსთა რაზმის მისვლამ კარგი შთაბეჭდილება მოახდინა. ხუთის წლის განძავლობაში ქურთთა ძარცვა-გლეჯისაგან შეწუხებული მემამულენი, გლეხობა, მათგანვე ნარბევი, დამშეული, სიხარულით ეგებებიან რუსის ჯარსა და იმედი აქვთ, არეულობას ბოლო მოეღებაო.

20 დეკემბერს რუსის ჯარმა ააფეთქა სათარ-ხანისა და ბაგირ-ხანის სახლები, ორივემ დიდი როლი ითამაშეს თავრიზის თავდასხმაში და რუსის ქვეშევრდომები დიდად დააზარალეს. მათ ქონებაც ჩამოერთვათ.

**ურმია.** ურმია-სალმასის გზაზე რუსის რაზმები ჩააყენეს, ქურთ-ყაჩაღებისაგან მგზავრებს უზრუნველსაყოფად.

საელჩოს მცველთა რაზმის გასაძლიერებლად მოსულ მსროლელთა როტას საელჩოს წევრნი და ახალშენელნი დიდის ამბით შეხვდნენ. ქალაქში მცხოვრებმა სირიელებმა რუსებს პურ-მარილი მიართვეს.

**ჯულფა.** თავრიზიდან ქოის ორასი ფიდაი მოვიდა, თითქმის ყველა სომეხი. ყოველ დღე ახალ-ახალი რაზმები მოდის. ადგილობრივნი მკვიდრნი რუსებს თანაგრძნობით ეპყრობიან.

# ჩინეთის რევოლუცია

დეპეშები.

**მუკდენი.** საეროვნო კრების არჩევნების თაობაზე განკარგულება გამოსცეს. ჩინეთი ორ ნაწილად არის გაყოფილი. მთავრობა არჩევნებს სათავეში უდგას მხოლოდ ჩრდილოეთ ჩინეთში, თურქესტანსა, ტიბეტსა და მონგოლეთში. სამხრეთის ,როვინციებში კი არჩევნებს რესპუბლიკა მოაწყობს. ეს თითქოს წინამორბედია ჩინეთის ორად გაყოფისა, თუ ვინიცობაა ხალხის წარმომადგენელნი ვერ შეთანხმდნენ.

**გირინი.** რადგან ვიღაც საეჭვო პირნი გაჩნდნენ მოქალაქეებმა გუბერნატორსა სთხოვეს, დაცვის საქმე გააძლიერეთო. ნანკინიდან დეპეშა მოვიდა, რესპუბლიკელები მოითხოვენ, საეროვნო კრება პეკინის მაგიერ შანჰაიში მოიწვიონ თუ მთავრობა ამაზე არ დასთანხმდა, ნანკინში დეპუტატები შეიკრიბებიანო.

**ხარბინი.** ჩინეთის პრესა ამტკიცებს,—სუნიატსენს, როგორც ამერიკის ქვეშევრდომსა და მოქალაქეს, საარჩევნო უფლება არა აქვსო. რევოლუციონერები ახლად გამოცემულ პროკლამაციაში ამბობენ, იმპერატორის მიერ ტახტზე ხელის აღება არა კმარა, საჭიროა პრემიერად ნამყოფ ცინცინოვანისა და ზოგიერთ სხვა დიდებულთა .სიკვდილით დასჯაო.

სადგ. ანდასთან ხუნხუზებმა პურით დატვირთული ქარავანი გაძარცვეს.

**შანჰაი.** თაონშაიმ სამშვიდობო კონფერენციის თავი მიანება და მთავრობას თანამდებობიდან განთავისუფლება სთხოვა. ამბობენ, მთავრობამ შეიწყნარა მისი თხოვნაო. ბუტინფანს პირადი მოლაპარაკება აქვს იუანშიკაისთან.

**ხანკოუ.** მთავრობის ჯარი ისევ ჩრდილოეთისაკენ მიდის.

**ჩიფუ.** აქაურმა მმართველობამ შანჰაის სარევოლუციო კომიტეტში თავისი წარმომადგენელი გაჰგზავნა.

**პეკინი.** 800 აჯანყებულმა ჯარისკაცმა ქალაქი ლუანჩჟოუ აიღო. პეკინიდან მოსულ ბრძანებისამებრ შანჰაილუანსა და თიანშანს შორის მატარებელთა მიმოსვლა შეაჩერეს. აჯანყების ჩასაქრობად შიძიანჩჟუანიდან მესამე დივიზიის რაზმები გაიგზავნა. გზის დასაცავად თიანძინიდან სადგ. გუეს ინგლისის ჯარი გაიგზავნა.

ლუანჩჟოუ მთავრობის ჯარმა აიღო, აჯანყებული ჯარის-კაცები დააპატიმრეს. ჩრდილოეთში დაარსდა ძლიერი პარტია და აპირებს კონსტიტუციურ მონარქიის პრინციპი დაიცვას.

**დალნი.** მეორე დივიზიის უფროსი ლანტიანვეი, ამას წინად რომ მუკდენის აჯანყება მოაწყო, დამარცხდა და შანჰაის გაიქცა.

**ხანკოუ.** განთავისუფლებულ ჯარის ნაწილი დაბრუნდა და ინგლისის კონცესიის თხრილებში ჩასაფრდა ზარბაზნებით. სიაბჟონს ახლო მოხდა ბრძოლა. მოჰკლეს 700 კაცი. 17 ვაგონი წაართვეს, გაძარცულ ნივთებით სავსე. მდგომარეობის თაობაზე მსჯელობა ჰქონდათ ორივე მხრის წარმომადგენლებს, ინგლისის ელჩის თანადასწრებით. ვერ შეთანხმდნენ.

# იტალია-ოსმალეთის ომი

დეპეშები.

**ხოდეიდი.** ხოდეიდან ათი ვერსის მანძილზე, ძაბანთან იტალიელთა კრეისერებმა ოსმალებს ზარბაზანი დაუშინა. ოსმალნი არ დაზარალებულან.

გაზეთებიდან.

**არაბთა თავდასხმა.**

იტალიის მთავრობა იუწყება: არაბები ღამე ტობრუკს დასცემიან. იტალიელებმა მზვერავებისაგან შეიტყეს არაბთა განზრახვა და გაცხარებული სროლა აუტეხეს. თანაც პროჟექტორით ანათებდნენ პოზიციებს. თავდამსხმელნი უკუაქციეს. არაბებს 50 კაცი მოუკლეს.

**იარაღის გადაზიდვა.**

ტუნისიდან პარიზს ამბავი მისულა, ტუნისის გზით თითქმის ყოველდღე აურაცხელი ქარავანი მიდის და ოსმალებისათვის სურსათი და იარაღი მიაქვსო. იტალიის მთავრობამ საფრანგეთს პასუხი მოსთხოვა, იმის თაობაზე, რომ ნიცაში არსებულ ოსმალთა კომიტეტი კირენაიკს კონტრაბანდად იარაღსა ჰგზავნის ოსმალეთის ჯარისთვის.

# დეპეშები

(პეტერბ. დეპეშათა სააგენტო)

23 დეკემბერი.

საზღვარ-გარედ.

**სტამბოლი.** პალატა. დაიწყეს კამათი 35 მუხლის შესწორების თაობაზე. საიდფაშას გარდა, კრებას ყველა მინისტრი დაესწრო. განათლების მინისტრი მუხლის შეცვლის მომხრეა; მომხსენებელი ამბობს, კომისიაც დასთანხმდა შესწორების შეტანასაო. ოპოზიცია წინააღმდეგია შეცვლისა. კაბინეთმა მოითხოვა: ხონთქარს უფლება მიანიჭოს, რათა სენატის დაუკითხავად პალატა დაითხოვოს ხოლმეო. დარბაზში ხმაურობა ასტყდა. ოპოზიციამ პროტესტის ნიშნად დარბაზი მიატოვა. თუ ოპოზიციამ მთავრობას არ დაუთმო, პროექტი ვერ განხორციელდება. ეტყობა, პარლამენტის დათხოვნა აუცილებელია. ახალი არჩევნები „ერთობისა და პროგრესის“ კომიტეტის სასარგებლო იქნება და ეს კი ხალხის უკმაყოფილების გააძლიერებს შეიძლება ალბანელებიც აჯანყდნენ. საერთოდ მდგომარეობა გამწვავებულია.

**პრაგა.** კრამარჟი „ნაროდნი ლისტში“ ჩეხელთა შეხედულებას აქვეყნებს და ამბობს, გერმანია-ავსტრია-უნგრეთს ვერ დაეხმარებაო. ავსტრია-უნგრეთი სარგებელს ვერაფერსა ჰხედავს და გერმანიის პოლიტიკის დასახმარებლად კი ფულსა ჰხარჯავსო. ჩეხელებს სრულიადაც არა ჰსურთ გერმანიის მეგობრობაო.

რუსეთი

**იაროსლავი.** მოსკოვის სადგურის ახლოს ნავთის საწყობებში ათასი ფუთი ნავთი დაიწვა. ზარალი დიდია.

**პეტერბურგი.** გაზეთ „ზვეზდას“ რედაქტორი 500 მანეთით დააჯარიმეს.

22 დეკემბერს კოკოვცევის თავმჯდომარეობით მინისტრთა საბჭოს კრება მოხდა. იხილავდნენ სახელმწიფო სათათბიროში წარსადგენ ერობისა და ქალაქებისათვის სესხის მოწყობის პროექტს. შინაგან საქმეთა მინისტრს მიანდეს, სათათბიროში შეიტანოს საგუბერნიო, საერობო და სამოქალაქო საკრებულოთა საშუალების გადიდების კანონ-პროექტი.. მოიწონეს შინაგან საქმეთა მინისტრის წინადადება, რომლითაც საერთაშორისო აზიის რუსეთში სატელეგრაფო ტარიფი უნდა შემცირდეს.

# უცხოეთი

**საბუთების მოპარვა.** ამას წინად სტამბოლში ოსმალეთის გარეშე საქმეთა სამინისტროდან სადიპლომატო საბუთები მოიპარეს. ვენის გაზეთ „ცეიტი“ ამის შესახებ შემდეგს იუწყება: დიპლომატიურ საბუთების სისტემატიურ პარვას ჯაშუშების საერთაშორისო ორგანიზაცია აწყობდა, ორგანიზაცია თავში უდგან ბერძენი სარტინსკი ბეი და სომეხი ბერბერიანი; ორივენი გარეშე საქმეთა სამინისტროში მსახურობდნენ. სტამბოლის პოლიციამ გამოარკვია, რომ საბუთების პარვაში ბევრ ჟურნალისტებსა და თვალსაჩინო მოღვაწეთ უდევთ წილი. დაპატიმრებულთა ვინაობას არ ამჟღავნებენ. ახალგაზდა ოსმალოთა წრეებში გარეშე საქმეთა სამინისტროდან საბუთების პარვამ მეტად ცუდი შთაბეჭდილება მოახდინა, მით უმეტეს მძიმეა ეს შთაბეჭდილება, რომ ახალგაზდა ოსმალნი დარწმუნებულნი იყვნენ, ახალ წესწყობილების დაყარების დროს ადგილი აღარ ექმნება აბდულ ჰამიდის დროის ბოროტმოქმედებათაო.

# თეატრი და ხელოვნება

**ოპერა ქართულად.** ხვალ, ქართულს თეატრში წარმოდგენილი იქნება **ვანო სარაჯიშვილის** მონაწილეობით როსინის ცნობილი პიესა **„სევილიელი დალაქი“**, ქართულს ენაზე. ოპერას ლოტბარობს ბ-ნი **ნ. ქართველიშვილი.**

იმავე დღეს დილით წარმოადგენენ, ძრიელ დაკლებულის ფასებით; აკაკის **„პატარა კახს“**. ითამაშებს ქ-ნი დავითაშვილი.

# წერილი რედ. მიმართ

მ. ხ. ბ-ნო რედაქტორო!

„სახალხო გაზეთის“ მე-482 ნომერში მოთავსებულია „ღია ბარათი“ ჩემ მიმართ. „ბარათის“ ავტორმა დაარღვია ეთიკის ელემენტარული წესი, ვინაიდან „ბარათში“ ამოეფარა ფსევდონიმს. ყოველ უსახელო წერილს დაბეზღების ხასიათი აქვს. მე არა მაქვს ჩვეულებად უსახელო დაბეზღებაზე ყურადღების მიქცევა, მაგრამ ამ უსახელო ბარათში იმდენად დამახინჯებულია ფაქტები და გადმოცემულია ისეთი ტენდენციური ელფერით, რომ იძულებული ვარ პასუხი გავცე. წერილის პირველი ნაწილი ეხება ჩემ მიერ წარმოებულ ტყის ექსპლოატაციას. ჩემი ტყე მდებარეობს სადგურ გომიდან 14 ვერსის მანძილზე და შეერთებულია სადგურთან კარგის გზებით. ყოველწლიურად ტყიდან გამოაქვთ 500 საჟენამდე შეშა. ერთი საჟენი შეშის მოჭრისა და გამოტანისთვის გლეხებს ეძლევა 15 მანეთი. ტყიდან ყველა შეშის ¹/₈ გამოაქვთ ჩემს მამულში მცხოვრებ გლეხებს, დანარჩენი კი გარეშე გლეხებს. ჩემს გარდა შეშის მსხვილ წარმოებას მისდევენ სინდიკატი და გოკიელოვი. სინდიკატი იხდის საჟენზე 20 მან. და გოკიელოვი—22 მან. ტყე, რომლიდანაც სინდიკატი ეზიდება შეშას, მდებარეობს სადგ. გომიდან არა უახლოეს 21 ვერსისა და გზებიც ძალიან ცუდია, და გოკიელოვის ტყე კი უფრო შორს არის, სადგურიდან 25 ვერსის მანძილზე, გზებიც უფრო უხეიროა. ჩვენ თუ მარტო მანძილებს შევადარებთ, დავინახავთ, რომ თუ მე 16 მანეთს ვიხდი, იმ შემთხვევაში სინდიკატმა უნდა გადაიხადოს 21 მან. 30 კაპ. და გოკიელოვმა 24 მან. რაც შეეხება ვიღაც ჰრელაშვილს, რომელმაც ვითომდა აღუთქვა გლეხებს საჟენზე 35 მან., უნდა შევნიშნო, რომ ჰრელაშვილს ტყე არა აქვს. ალბად ის ფიქრობდა, რომ გლეხები ტყეს ჩემგან იყიდიან. ამ ჟამად ხე-ტყის ფასმა იმდენად აიწია, რომ მატერიალური ღირებულება ერთი საჟენი რცხილასი უდრის 20 მანეთს. უცხოელი მწარმოებლები ერთ საჟენ არჩეულ რცხილაზე, საზღვარ-გარედ გასაგზავნად, ტყეშივე იძლევიან 50 მანეთს. თუ ნამდვილ ფასად ავიღებთ მხოლოდ 15 მანეთს, გამოვა, რომ ჰრელაშვილი გამოტანისათვის გლეხებს აძლევს მხოლოდ 20 მანეთს. ტყეების მოსპობის გამო, ცხადია, იზრდება ხე-ტყის მატერიალური ღირებულება უცხოეთის ბაზარზე. თფილისის ბაზარზე არსებულ შეშის ღირებულებას პირდაპირი დამოკიდებულება არა აქვს უცხოეთის ბაზართან. ასე, 1910 და 1909 წ.წ. მე ტფილისისთვის ვყიდდი შეშას 29 მანეთად. 1911 წ. ბორჩალოს მაზრაში საქონლის ჰირის გაჩენის გამო, და გურიაში დიდ თოვლისა გამო, შეშის ფასმა აიწია საჟენზე 50 მანეთამდე. მაგრამ ასეთი ფასის აწევა შემთხვევითია და არ შეიძლება მივიღოთ მუდმივად. ანგარიში, რომელიც მოუხდენია უსახელო ბარათის ავტორს ჩემი ტყიდან შეშის გამოტანის მუშაობის შესახებ, სრულიად მოკლებულია სისწორეს. ერთ საჟენ შეშის მომზადებაზე ტყეში, ყველა მწარმოებელი იხდის 4 მანეთ. ერთი საჟენი შეშა ტყიდან სადგომში გამოაქვთ რვა ურმით, ამ რიგად ურემს უწევს 1 მან. 50 კაპ. ტყიდან შეშის გამოტანის ვადათ ეძლევათ ცხრა თვე, და გლეხი მუშაობს მაშინ, როცა თავისუფალია სხვა სამუშაოსაგან. მოურავის მხრით არავითარი ძალდატანება გლეხებზე არ სწარმოებს, ვინაიდან მუშათა რიცხვი ყოველთვის აღემატება მუშაობის მოთხოვნილებას. საჟენზე 16 მანეთი დაწესებულია ტყიდან შეშის გამოტანის ცხრა თვის ვადაზე, და საჩქარო შემთხვევებში მე ვიხდი საჟენზე 25 მანეთამდის.

რაც შეეხება წერილის მეორე ნაწილს, სადაც ლაპარაკია ვიღაც ხაჩიძეზე, რომლისგანაც ვითომდა გადაეხდევინებინოთ შენობის ფასი, უნდა განვაცხადო, რომ მე ასეთი ფაქტის არა ვიცი რა.

მე უსახელო ავტორს არ ვიცნობ, მაგრამ როგორც სჩანს წერილის ხასიათიდან და ანგარიშის ტენდენციური შინაარსიდან, იგი უნდა ეკუთვნოდეს ტყის მწარმოებელთ, და უსახელო დაბეზღების შეუფერებელ საშვალებას იმიტომ მიმართა, რომ ჩემში მეტოქესა ხედავს.

**კ. მ. ამირაჯიბი.**

23 ქრისტიშობისთვე, 1911 წ.

რედაქტორ-გამომცემელი ნ. კურდღელაშვილი.


# განცხადებანი

№ 4711

სქელი პუდრი

კანზე ხაცერდისავით ანაზებს და ალამაზებს

ფერად. მიულჰენსი

კოლოფი 25 კაპ.

პარფიუმერია № 4711

მისაღებია. ყველგან. სახაზინო იუვარადებში.



Метцъ 352138

(9—1538—3)

საბანკო სახლი
ლ. ვ. ლანდაუ და ამხ.
კავკასიის სააგენტო
ტფილისი, მიხეილის პრ., № 65.
ტელეფ. 11—77.
აძლევს 2 იანვრის მომგებიან ბილეთებს გაბათილებისაგან 8 მ. 75 კ. აგრეთვე ჰყიდის ვალის ნაწილობით გადახდით ბილეთებს. (2—1661—1)

საშოვნიარო თავშესაფარი თუხარელისა,
გოლოვინის პროსპექტისა და გრიბოედოვის ქუჩის ქიმში, № 34, ფეოდოსიის ეკლესიის გასწვრივ. იღებენ ფეხმძიმე და მშობიარე ქალებს დღე და ღამ ყოველ დროს. ცალკე ნომრებიც არის ხელმისაწვდომ ფასებში და საზოგადოც. ორ-საწოლიანი ოთახი 2 მან. და მომშობიარეებისათვის 6 მან. არის საზოგადო ოთახში ხელმისაწვდომ ფასში, დღე-ღამეში 1 მან. იღებენ დედათა ავადმყოფობით სნეულთა და საბებიოს საქმისათვის. ძიებასა და მოახლეებს ყოველ დღე, დილის 11—12 ს.-მდე ამოწმებს თავშესაფარის გამგე ექიმი მ. გ. მიკირტუმოვი. (თ. 1646.1)

ექიმი კბილისა ალ. სოლოლაშვილი
იღებს ავადმყოფებს ყოველ დღე დილის 9—2 საათ. და სალ., 5—7 ს-მდე. გოლოვინის პრ., № 12. სახლი მდივნისა.

ექიმი კბილისა ნინო რჩხილაძე
მიიღებს ავადმყოფებს დილის 10 2 ს.-მდე და საღამოს 5 7 ს. ადრესი: ოლღას ქუჩის შესახ. № 5.

ექიმი ე. ვაშაკიძე
იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს, დილით 3—9 ს., საღამოთი 5—7 ს. ბაქოს ქ. № 12 ს. (9 54).

საავადმყოფო
დოქტ. ნავასარდიანისა
ყოველ დღე, კვირეებს გარდა.
დაარსებულია 1830 წელს.
(ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ).
დილით:
ბ. ა. ნავასარდიანი: 11 11 ს. ქირურგიული, ვენერიული (სიფილ.) ავად.
უ. მ. ჩიქოვანი: 9½ 10 ს. თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.
ზ. ი. ბაბანასოვი: 10—11 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა,
ნ. ტ. მლინი: 10 12 ს. ყურისა, ცხვირისა და უყელისა.
მ. გ. აველისიანცი: 11—12 ს. კანისა, სიფილისი, ვენერ., საშ. და ქირურგ.
ა. მ. პუგინოვი: 12 1 ს. შინაგანი, ბავშვებისა და ყვავილის აცრა.
ქალ. ექ. ბ. ს. ზილბერშაცი: 12½ 1 ს. საბებ., ქალ. და ბავშვებისა,
გ. ი. გურგენოვი: 1 1 ნახ. ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.
ა. პ. კარაპეტიანცი: 1 1½ ს. შინაგანი და საბავშვო.
ბ. გ. აგასაროვი: 9 10 ს. შინაგანი ბავშვთა ავადმყ.
საღამოთი:
ქალ. ექ. პ. ს. ზილბერშაცი: 5—6½ ს. საბებ., ქალ. და ბავშ. ავად.
მ. გ. აველისიანცი: 6—7 საათ.
11—12 ს. 606-ით წამლობა, კონსულტატიურად.
რჩევა 50 კ. ღარიბებს უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები შეთანხმებით. საავადმყოფოს დირექტორი მედიცინის დოქტორი ბ. ა. ნავასარდიანი. (წ. 1168.206)

მუხრანის ქარხ.
საავადმყოფო
მუდმივის საწოლებით.
Тифлисъ—Песковская ул., 9 и 48. Цициановская подъема, противъ новаго (Мухранскаго) моста. Телефонъ № 370.
ავადმყოფებს ყოველ დღე სპეციალისტი ექიმები მიიღებენ.
ა. ა. გაზაზოვი. შინაგან სნეულებანი, დილის 10—11 ს.-მდე.
გ. მ. გოგობერიძე. შინაგან და ბავშვებისა, 11—12 ს.-დე.
მ. კ. იოსელიანი. დედათა სნეულებანი, დილის 10-ნახევრიდან 11 ს.-დე.
მ. ლ. შტრეიხერი. ყელისა და ყურისა, 11 ნახ. 12 ს.-დე.
ლ. გ. საყვარელიძე. შინაგან და ბავშვ., 12 ნახ. 1 ს.-დე.
იაშვილი. შინაგან, 1—2 ს.-დე.
გ. ბ. მელკონიანი. ქირურგ., 12—1 საათამდე.
ა. ი. გრიგორიანი. ქირურგიულ., 11—12 ს.-მდე.
გ. ა. ახვერდოვი. შინაგან, 12 ნახ. 1 ნახევარ ს.-დე.
მ. დ. კილოსანიძე. ქირურგ. 12 ნახევრ. 1 ნახ. ს.-დე.
კევში. კბილისა, 8—10 ს.-დე.
მ. ბ. მიკირტუმოვი. დედათა სნეულებ. და საბებიო, 1 ნახ. ს.-დე.
ათაშანგის წამლობა ერლიხ-ხატას პრეპარატით (Ehrlich-Hata) „606“-ით. დარიგების ფასი 50 კაპ. სტაციონალური ექიმობისათვის 3—5 მანეთამდე, ოპერაციები, შეხვევა, კონსულტაცია და სხვა მორიგებით.
№ (646. 100—56 (0—1003—195)

ვილეზ
სამკლეწიო სამზა-ტვრო საქმეებს.
მსურველთ შეუძლიანთ მომმართონ სოფ. პრიუტში, მანგლისის გზა. ტფილისის მაზრა, მხატვარი მღვდელი მელიტონ ყანჩაველი. (23.958.2)

საავადმყოფო
ექიმთა საზოგადოებისა
მუდმივის საწოლებით.
მიხეილის ქუჩა, № 59, მიხეილის საავადმყოფოს პირდაპირ, ტელეფონი № 1026.
იღებენ ავადმყოფთ:
ალაჯანოვი—საშორდ ორგანოთა, ათაშანგისა და კანის სნეულებისა—დილ. 11—12 ს.
ვ. ვ. ვნუკოვი—ქირურგიულ სნეულ. ნაშუად. 1—2 საათამდე.
ეგიაზაროვი ი. ნ.—შინაგან, ნერვებისა, სულით-ავადმყოფთ. ელექტროტერაპია დილის 11—12 საათამდე.
კიმონტი გ. პ.—ქირურგიულ სნეულ. დილის 11—12 საათამდე.
მაგაკიანი გ. ნ.—შინაგან სნეულებ. და ბავშვების ავადმყ. დილ. 11½—12½ საათ.
ა. დ. კალმიკოვისა-ვნუკოვისა—დედათა ავადმყ.—დილ. 11—12 ს. საავადმყოფოში ელექტრონითა და მასაჟით სწამლობენ. მიკროსკოპიულ, ბაქტერიოლოგიურ და ქიმიურ გამოკვლევას ახდენენ. ყოველის უცრობ. ძიებს ამოწმებენ. რჩევის ფასი 50 კ. ოპერაციების და კონსულტაციების ფასი—მორიგებით. საავადმყოფოს სტაციონალური განყოფილება შესდგება საზოგადო პალატისა და ცალკე ნომრებიდან.
წამლობა „606“-ით.
(100—1615—1).

კავკასიის მეფუტკრეობის საზოგადოება 20 დეკემბრიდან ხსნის
ბაზარს
ბუნებრივ თაფლის გასაყიდად კავკასიის სამეურნ. საზოგადოების სადგომში. ბარიათინსკის ქ., ალექსანდრეს ბაღი. (5.1645.1)

ექიმი ზ. ა. მიქელაძე
იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 5 ნახ.—6½ საათ. კახეთის ქ., № 5.

გამოცდილმა
მასწავლებელმა
ჩვეულებრივად წელსაც გააგრძელა მეცადინეობა მოსწავლე ქალ-ვაჟებთან. მიღება პირობებით: გიმნაზიისთვის სხვა და სხვა კლასებისთვის, როგორც სავაჟო, ისე საქალებოსთვის. სამასწავლებლო ხარისხებზე, საზებიო ინსტიტუტისთვის, სამხედრო და სატეხნიკო სასწავლებლისთვის.
აგრეთვე გააგრძელებს მიღებას: სახულიერო სემინარიისთვის, გიმნაზიისთვის, რეალურ, სამხედრო და შიშის მზომელთა სასწავლებლისათვის, სამოქალაქო და სატეხნიკო სასწავლებლისათვის. ამზადებს ერთ და ორ კლასიან მასწავლებლობის ხარისხზე, ყველა კლასის ჩინისთვის. ღებულობს ანბანის უცოდინარ ქალ-ვაჟებსაც. მეცადინეობა ჩვეულებრივად იქნება სამ ალაგას: 1) ვერაზე, 2) ვაგზალზე, 3) ვორონცოვის ძეგლის მახლობლად. მონაწილეობას იღებენ მასწავლებლები, მცოდნენი უცხო ენებისა და სხვა და სხვა საგნებისა.
იღებს პირობებით. მეცადინეობა იწყება დილის 8 საათზე და გრძელდება საღამოს 8 საათამდე. მსურველ მოწაფეებს არა უფროსს 15 წლისა ღებულობს სრულ ხარჯზედაც პანსიონში.
მოლაპარაკება მასწავლებელთან შეიძლება ყოველ დღე, სანამ შეივსებოდეს აღნიშნული რიცხვი მოწაფეებისა.
Адресъ: Семеновская ул., д. 23, Кв. 1. входъ съ подъѣзда, нижній звонокъ, спросить учителя.
А съ Елизаветинской ул. д. № 38. (недалеко отъ памятн. Воронцову).
(თ. 1084.50)

ღვინით მოვაჭრე
ამხ. „კომეტა“
ლორის-მელიქოვის ქ., პუშკინის ბაღის პირდაპირ, ს. ზუბალაშვილისა, № 6.
მივიღეთ კახეთის საუკეთესო ზვრების ღვინო, ფასები ყველასათვის ხელმისაწვდომია. (20. 1560. 13).

საკერავი მაშინა
ზინგერის კომპანიისა
იყიდება
მხოლოდ კომპანიის საკუთარ მაღაზიებში
ფასის გადახდა ნაწილ-ნაწილ
1 მანეთიდან

ხელის მაშინები ფასად 25 მანეთიდან
მაღაზიის ნიშანი.
უფრთხილდით სიყალბეს
მაღაზიები ყველა ქალაქებში.
(0—1062—6)

მიიღება ხელის მოწერა 1912 წ.
ყოველდღიურ საპოლიტიკო, სალიტერატურო და საეკონომიო გაზეთ
7 წელიწ. გამოცემისა. „რ ე ჩ“-ზე 7 წელიწ. გამოცემისა.
გამოდის ს.-პეტერბურგში.
ვ. დ. ნაბოკოვისა და ი. პეტრუნკევიჩის
მეთაურობით,
პ. ნ. მილიუკოვისა და ი. ვ. გესსენის
მონაწილეობით და წინანდელ თანამშრომელთა შემადგენლობით.
წლიურსა და ნახევარ წლიურ ხელისმომწერთ
1912 წ., რომელნიც 1 თებერვლამდე გაზეთს გამოიწერენ, იანვარში, 1912 წ. უსასყიდლოდ გაეგზავნებათ
გაზ. „რეჩის ყოველწლიური“ 1912 წ.,
რომელშიაც მოთავსებული იქნება რუსეთის თვალსაჩინო მოვლენათა მიმოხილვა საპოლიტიკ. საკანონმდებლო, საზოგადოებრივ, სამრეწველო-სამეცნიერო-სალიტერატურო და ხელოვნებისა 1911 წ. აგრეთვე სასტატისტიკო ცნობანი რუსეთის ცხოვრების სხვა და სხვა მოვლენათა, საზღვარ-გარეთელ ცნობებთან დაკავშირებით.
ხელმოწერის ფასი:

| | 12 თვ. | 9 თვ. | 6 თვ. | 5 თვ. | 4 თვ. | 3 თვ. | 2 თვ. | 1 თვ. |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| რუსეთში მ. | 12 | 9— | 6— | 5.10 | 4.15 | 3.15 | 2.15 | 1.10 |
| საზ.-გარ. მ. | 20 | 15.75 | 11— | 9.50 | 7.75 | 6 — | 4 — | 2 — |

სოფლის მღვდლებსა და მასწავლებლებს, უმაღლეს სასწავ. მოწაფეთ, ფერშლებს, გლეხებს, მუშებსა და ნოქრებს,—თუ პირდაპირ მთავარ კანტორას მიჰმართავენ, 12 თ.—9 მ., 9 თ.—6 მ. 75 კ., 6 თ.—4 მ. 50 კ., 3 თ.—2 მ. 40 კ. 1 თ.—85 კ.
გაზ. „რეჩის“ მთავარ კანტორის მისამართი: С.-Петербургъ, ул. Жуковскаго, № 21/48.
„რეჩის“ სანიმუშო ნომრები უფასოდ ეგზავნებათ. (3—1659—2)

ყარაყულის ქუდი
2 მანეთად

უმაღლეს ხარისხის ხელოვნურ კარაკულის ნაცრისფერი და შავი ქუდი, შავ წმინდა აბრეშუმ ატლასის სარჩულით დამკვეთელთ და კვეთის დროს უნდა გამოგზავნონ თავის. ზომა ეგზავნებათ ფასდადებ. უბეოდ. გასაგზავნისა და გასახვევ მასალისათვის 55 კ. იხდიან. ციმბირში კი —95 კ. ვინც 3 ქუდს დაიკვეთს გასაგზავნ ხარჯს ჩვენვე ვკისრულობთ. დაწუნებულს უკანვე ვიღებთ.
მისამართი: A. Каммаку, Лодзь № 12 Д. მეტცლ. 82045. (4 1050 1).

ქ. თელავში
ისყიდება პირველად გამოსული ქართულ ენაზე
ჭრა-კერვის
▶ წიგნის ◀
თვით-მასწავლებელი, 128 სახატი.
ახალი მეთოდი.
ექვს ნაწილად; ქართული, იმერული, ევროპიული ტანისამოსი და თეთრეული მანდილოსანთათვის და ბავშვთათვის! აგრეთვე ჟურნალების მოხმარება. შედგენილი და გამოცემული
სოფიო ი. სიმონოვის მიერ.
ფასი ყდით 3 მ., გაგზავნით 3 მ. 50 კ. ვინც ათ ცალს ანუ მეტსერთად დაიბარებს, ფოსტით გაგზავნის ფული არ გადახდება. გამოწერა შეიძლება ფასდადებითაც. ადრესი: Въ Г. телавъ „Школа кройки и шитья Софіи Іосифовны Симоновой. Бульв. пер. с. собс. домъ (100—1140—92)

სუსუნატის წინააღმდეგ
ახალი წამალი
„SALO-პირილინი“
სწრაფად და საფუძვლიანად მმოქმედობს და ექიმთა აზრით გენიერულ საშუალებად ითვლება. დარიგება კოლოფში ძეგს. ნამდვილი მხოლოდ ლითონის კოლოფითაა, 4 მან. და 30 კ.
აგრეთვე კარგად მოქმედობს ამ სენის გამწვავებისა და ქრონიკულად გამოჩენის დროს და სულ მოკლე ხანში შეუწყვეტელ მდინარეობასაც აჩერებს.
დეპო: Петербургъ. Разъѣзжая № 7, Аптека В. Конгейма.
ფას-დადებით იგზავნება. გასაგზავნი ფოსტის ტარიფის მიხედვით.
კავკასიის სააფთიაქო საქონლით. მოვაჭრე საზოგადოებაში იშოვება Мецль. 12429. (45—2014—38).

გაუფრთხილდით სიყალბეს!
პროვიზორ
გ. ფ. იუზერნსის
ბორნო-ტიმოლის
საპონი
ოფლისა, მზის ნამწვისა, ძიძიბებისა, მელასი და ჭორფლის წინააღმდეგ კეთი-სუნელოვანი ხელის საპონი უმაღლესის ღირსებისა,
ყველგან ისყიდება.
½ ნაჭერი 50 კ. ½ ნაჭერი 5?კ.
Мецль. 5215. (18.1178.7)

უდიდესი ძღვენი
სიცოცხლეში ერთხელ!!!
600 ნივთი 3 მ. 90 კ.
მხოლოდ
1. მოხდენილი საათი, ანკერ. სწორედ მომუშავე, 6 წლის თავდებობით.
2. მშვენიერი ბეჭედი ქალისა, ამერიკულ ბრილიანტით.
3. საუცხოვო ყელსაბამი ქალისა, უთვალავ მარგალიტით და პატენტ. შესაკრავით.
4. საუცხოვო და ლამაზიანი სამაჯური ქალისა, ამერიკულ ოქროსი „დუბლე“.
5. მოხდენილი ნესესერი ჯიბისა, ოთხი ნივთით.
6. ერთი წყვილი საყურე ამერიკულ საუცხოვო ბრილიანტით და პატენტ. შესაკრავით.
7. ლამაზიანი და მოხდენილი საფულე ტყავისა.
8. ალბომი 50 სავულისხმო სურათით.
9. მუშტუკ-აპარატი ექიმ კოხისა, თუთუნის უვნებლობისათვის.
10. მექანიკურად საჭრეტი მაკრატელი, საუცხოვო ბუდით.
11. და 500 მეტი სავულისხმო და გამოსადეგი ნივთი.
სულ 600 ნივთში, მათ შორის საათიც, მხოლოდ 3 მ. 90 კ. ვანგარიშობთ. (მარტო საათიცა ღირს ამ ფასად).
ფას-დადებით გაგზავნა ერთიდან სამ გირვანქამდე (თუ ერთად გაიგზავნება, ღირს 56 კ. ციმბირისათვის 95 კ.
მისამართი: O-ву „Меркурій“ Лодзь, с. 10. დაწუნებულს უკანვე ვიღებთ და ფულს ვუბრუნებთ.
მეტცლ. 83221. (6.1631. 1.)

ყოვლად გაუმჯობესებული
მოლაპარაკე მანქანა
პატეფონი
ძმ. პატეს პარიზში.

ფირფიტები
უნემსოდ უკრავს.
ორმხრივი 28 სანტ. ყვითელის ეტიკეტით . . 1 მ. 75 კ.
ორმხრივი 28 სანტიმ. წითელის ეტიკეტით . . 1 მ. 30 კ.
ყველა ადგილობრივი ჰანგებისა . . . 1 მ. 30 კ.
ნუ შეიძენთ გრამაფონს, ვიდრე არ შეიაროთ
ძმ. პატეს
ადგილობრივ წარმომადგენელ
კარლ შუმანთან,
გოლოვინის პროსპექ., № 10. საკრებულოს ქვეშ.
რამდენიც გნებავთ მოისმინეთ სხვა და სხვა ფირფიტების ჰანგი, სყიდვა სავალდებულო არ არის.
გარანტიას ვიძლევით, ფასის ნაწილ-ნაწილ გარდახდაც შეიძლება.
ფასები საქარხნოა.
კატალოგები უფასოდ.
(3—1595 3) ტელეფონი № 939.

ხელსაქმის
ქ. რიგის მაღაზია
M-me მინასი.
ტფილისი, განთვის ქ., № 6.
მიღებულია
აუარებელი ახალი რამ. (10.1618.4)

საგაჭრო და მრეწველობის სამინისტროს უწყებაში მყოფი
ნ. ვ. აბრაამიანის
საბუღალტრო კურსები
(არსებობს 1895 წ.)
ავტორი „ბუღალტერიის სახელმძღვანელოსი“, რომელიც მოწონებულია ვაჭრ. და მრეწვ. სამინისტროს მიერ.
ორივე სქესისათვის კურსი 4 თვისაა ყოველდღიური მეცადინეობით.
სწავლა იწყება 15 იანვრის 1912 წ. კურსებზე ასწავლიან ბუღალტერიისა და სხვ. სავაჭრო ცოდნათა საგნებს მრეწველობის სხვა და სხვა დარგიდან, მაზუთისა და ნავთის მრეწველობაზე—ყოველ-ნაირ წესით. დახელოვნება ორმაგ იტალიურ სისტემაში. კომერც. არითმეტიკა, კომერც. მიწერ-მოწერა, სავაჭრო უფლება, საფქსილო წესდება, პოლიტიკური ეკონომია, არითმეტიკა ჩოთქზე, ლამაზი წერა, ხელის გასწორება, მსურველთათვის უცხო ენები, სტენოგრაფია და რემინგტონ.
მასწავლებელნი-სპეციალისტნი უმაღლეს სწავლით, პრაქტიკულად და თეორეტიულად ყოველ ცალკე საგანში მომზადებულნი.
ატესტატები სამინისტროს ნებართვით. პროგრამები და წესები უფასოდ ეძლევათ. თხოვნები მიიღება 25 აგვისტოდან, 9 ს.-დან 11 საათამდე, და 5—7 ს.-მდე.
ნაკლებ მომზადებულთათვის კურსებთან არსებობს მოსამზადებელი განყოფილება რუსულ ენისა და ანგარიშისა.
წერილობით და პირადად მიჰმართეთ კურსების დამაარსებელს: ნიკოლოზის ქუჩა, 22, საკუთარი სახლი, ტელეფონი № 744.
(10.1652.2)

„ს.-პეტერბურგის საქიმიო ლაბორატორია.“
1860 წელს დაარსებული.
ვურჩევთ იყიდონ სულ ახლად გამოსული გასასყიდად
პარიზი 1900. უვავილის ო-დე-კოლონი,

„საუცხოვო აკაცია“,
„ნუ დამივიწყებ“,
„მხიბლავი სუმბული“.
თავისებური, საუცხოვო და ხანგრძლივი
✦ უმაღლესი ღირსებისა. ✦
მთავარი საწყობი: ტფილისი, სააფთიაქო საქონლით მოვაჭრე კავკასიის ამხანაგობა. (23.1292.9)

„სორაპნის“ გამოცემა.
დაიბეჭდა და გამოვიდა გასასყიდად
კედლის კალენდარი 1912 წლისა,
შედგენილი გრიგოლ ჩარკვიანის მიერ.
კალენდარში სხვა და სხვა სასარგებლო ცნობათა გარდა მოთავსებულია მრავალი სურათები ჩვენი საზოგადო მოღვაწეებისა. კალენდრის კარდონი დაბეჭდილია სხვა და სხვანაირ ფერადის საღებავებით ლიტოგრაფიაში, სუფთად და ლამაზად შეკრულია თუნუქით, რომ ახევის დროს არ დაიბნეს. ფასი კი ისევ ძველებურია 40 კაპ.
დაიბეჭდა და გამოვიდა გასასყიდად „სახალხო კალენდარი“, მ. გაჩეჩილაძის შედგენილი, ფასი 20 კ.“ პარტიობით მყიდველებს დაეთმობათ პროცენტები. ადრესი: Тифлисъ Типографія „Сорапань“, М. Гачечиладзе. (20. 1594. 15)


ტფილისი, სტამბა „შრომა“ მუხრანის ქუჩა